პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 15 აპრილი, 1952 წ. № 90 (9250). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენცია (1-ლი გვერდი).

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მერვე ტომი (1-ლი გვერდი).

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი (მე-2 გვერდი).

სწორად შევარჩიოთ და აღვზარდოთ კადრები—„პრავდის“ 14/IV მოწინავე (მე-2 გვერდი).

მოძმე რესპუბლიკების მეტალურგთა ორი ბრიგადის შეჯიბრება (მე-2 გვერდი).

დიდი იტალიელი მხატვარი (მე-3 გვერდი).

ლეონარდო და ვინჩი — აღორძინების ეპოქის დიდი მეცნიერი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოჯანსაღება საბჭოთა მთავრობის ნოტასა—ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

### მოსკოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

## ამხანაგ ი. ბ. სტალინს

**ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!**

თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენცია მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, პარტიისა და ხალხის დიდ ბელადს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს!

თბილისის ბოლშევიკები თავიანთ მორიგ პარტიულ კონფერენციაზე მოვიდნენ ლენინ-სტალინის მძლავრი პარტიის ერთიან მონოლითურ რაზმად, ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი.

ჩვენი კონფერენცია შეიკრიბა ღირსშესანიშნავ მომენტში, როცა საბჭოთა ხალხი სულ უფრო ფართოდ აჩაღებს ბრძოლას 1952 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების თქვენს მიერ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, დასახული დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

თბილისში, ისევე როგორც ჩვენი მძლავრი სამშობლოს ყველა კუთხეში, ახალი უდიდესი აღმავლობა გამოიწვია 1952 წლის 1 აპრილიდან განხორციელებულმა მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სათვალავით მეხუთე შემცირებამ.

ქალაქ თბილისის მრეწველობამ 1951 წელს მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების გეგმა. წარმატებით სრულდება კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთები. ათვისებულია მთელი რიგი ახალი მანქანების, დაზგებისა და სხვადასხვა ნაკეთობის წარმოება. დიდი სამუშაოები გრძელდება თბილისის მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის.

თბილისის მნიშვნელობა რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ შემადგენლობაში, თქვენი ინიციატივით, შეიქმნა თბილისისა და ქუთაისის ოლქები. ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება შესაძლებელს გახდის უკეთ, უფრო კონკრეტულად, ოპერატიულად განვახორციელოთ ხელმძღვანელობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მრავალი დარგისადმი, გავაუმჯობესოთ კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე, უფრო წარმატებით ვიბრძოლოთ მრეწველობის, თბილისის საქალაქო მეურნეობის, საქართველოს დედაქალაქისა და ახალი ოლქის ცენტრის კულტურული ცხოვრების შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, დაშვებული რომ არ ყოფილიყო სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები ქალაქის პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

თქვენ, ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, გვასწავლიდით და გვასწავლით არ დავჯერდეთ მიღწეულ წარმატებებს, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის იარაღით გაბედულად ვამხილოთ შეცდომები და ნაკლოვანებანი, რათა კიდევ უფრო წარმატებით გავწიოთ წინ.

ბოლშევიკებს მუდამ უნდა ახსოვდეთ თქვენი მითითება იმის შესახებ, რომ წარმატებებს ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. თბილისის საქალაქო კომიტეტში, ისევე როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, მიუხედავად თქვენი გაფრთხილებისა, რომ საშიშია დატკბობა წარმატებებით, გამეფებული იყო არაკრიტიკული დამოკიდებულება მუშაობის ნაკლოვანებებისადმი, გამეფებული იყო თვითდამშვიდება და პარადული კეთილდღეობა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის უაღრესად სერიოზულ ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ იგი, დაკმაყოფილდა რა მრეწველობისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის საერთო მაჩვენებლებით, ყურადღებას არ აქცევდა ჩამორჩენილ საწარმოებსა და მშენებლობებს, არ იღებდა ღონისძიებებს, რათა ბოლო მოეღო მათი ჩამორჩენისათვის, წამოწია ისინი მოწინავეთა დონემდე, გაეუმჯობესებინა სამრეწველო პროდუქციის ხარისხი და შეემცირებინა მისი თვითღირებულება. განსაკუთრებით შეუწყნარებელია ნაკლოვანებანი ქალაქის მოსახლეობის მომსახურებაში, საცხოვრებელი სახლებისა და მშრომელთა საჭიროების უშუალო დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილ საქალაქო მეურნეობის სხვა ნაგებობათა სამუშაოების გაჭიანურება.

თბილისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში სუსტად არის გაჩაღებული იდეოლოგიური მუშაობა და უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტიკა, როგორც წესი, პრაქტიკაში არ იყო შემოღებული და პატივისცემით არ სარგებლობდა. არ იყო ნამდვილი ბრძოლა კრიტიკის ჩამხშობთა წინააღმდეგ, უხეშად ირღვეოდა კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინური პრინციპები, შინაპარტიული დემოკრატიის ბოლშევიკური პრინციპები. სუსტად მიმდინარეობდა ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ, სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, გაფლანგვებისა და მტაცებლობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, კოოპერატიულ და სავაჭრო ორგანიზაციებში.

თბილისის XXI საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ, თქვენი მითითებების საფუძველზე, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე, სერიოზული ნაკლოვანებანი გამოამჟღავნა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საქმიანობაში, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის სხვა რგოლებში, ქალაქის სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

ჩვენო ბრძენო ბელადო და მასწავლებელო, უდიდეს მადლობას გიძღვნით მამობრივი ზრუნვისათვის, ჩვენი პარტიული მუშაობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ნაკლოვანებებისა და შეცდომების გამოვლინებასა და გამოსწორებაში დახმარებისათვის.

პირობას გაძლევთ, საყვარელო ამხანაგო სტალინ, რომ მთელ ძალღონეს მოვახმართ ყველა თქვენი მითითების და პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებას.

პირობას გაძლევთ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ძირეულად გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ფართოდ გავაჩაღოთ კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტიკა, წინ წამოვწიოთ ჩამორჩენილი საწარმოები. უზრუნველვყოთ პროდუქციისა და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა ქარხანამ და ფაბრიკამ, ყოველმა მშენებლობამ შეასრულოს გეგმა, გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის.

ჩვენ მთელი ძალღონით გავაძლიერებთ იდეოლოგიურ მუშაობას საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში, კიდევ უფრო ავამაღლებთ პოლიტიკურ სიფხიზლეს და გავხდით მას შემტევს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის ძირის გამოთხრის ყველა მტრული ცდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მთელ ძალღონეს მოვახმართ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის თქვენ მიერ დასახული გენიალური გეგმის წარმატებით შესრულების საქმეს.

საქართველოს მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მისი დედაქალაქის — თბილისის ახალი აყვავებისათვის ბრძოლის მხურვალე მისწრაფებაში ჩვენ აღგვაფრთოვანებს იმის შეგნება, რომ აქ, ჩვენს ქალაქში, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თქვენ დაიწყეთ თქვენი დიადი რევოლუციური მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია — საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მთავარი რაზმი კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თქვენს გარშემო, საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, მრავალი და მრავალი წლის საოცცხლეს საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება პარტიისა და ხალხის ბრძენ ბელადს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს — მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

## თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენცია

### 1952 წლის 13 აპრილის დღის სხდომა

13 აპრილს დილით გაიმართა თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის მეორე სხდომა. გრძელდებოდა კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები **გ. ჯიბლაძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი, **გ. ყორდღუნიანი** — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი, **მ. მაღრაძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი, **პ. ნოზაძე** — თბილისის საელექტრომავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი, **ნ. რუხაძე** — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, **გ. ზამბახიძე** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ნ. გოგლიძე** — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი, **გ. მილენინი** — გენერალ-მაიორი, **გ. ცქიტიშვილი** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი.

კონფერენციის დილის სხდომაზე საქართველოს დედაქალაქის ბოლშევიკების მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. ც. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. მგელაძემ.**

### 13 აპრილის საღამოს სხდომა

13 აპრილის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს **თ. ჯანელიძემ** — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა, **ი. ჭუმბურიძემ** — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატმა, **ვ. ბაქრაძემ** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ი. გეტაშვილმა** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსმა, **თ. ქვლივიძემ** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა, **ვ. გოგუამ** — კომბინატ „საქართველოს ქვანახშირის“ უფროსმა, **ზ. კვაჭაძემ** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანმა, **ი. დოლიძემ** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა, **მ. მახარაძემ** — თბილისის ქალთა მესამე საშუალო სკოლის დირექტორმა, **ე. ჩერქეზიამ** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა, **ი. ნონეშვილმა** — პოეტმა, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა, **ნ. კეცხოველმა** — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა.

თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას შემდეგ სხდომამდე.

### 14 აპრილის სხდომა

14 აპრილს, საღამოს, გაიმართა თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის მეოთხე სხდომა. გრძელდებოდა კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები **ზ. ჩხუბიანიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, **რ. კვირკველია** — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ამით დამთავრდა კამათი საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **გ. თავამაიშვილის** მოხსენება. დამსწრეთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში იგი ლაპარაკობს, რომ საქართველოს დედაქალაქის ყველა რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე თბილისის XXI პარტიული კონფერენციის პირველ დელეგატად ერთსულოვნად არჩეულ იქნა ამხანაგი **ი. ბ. სტალინი.**

ხანგრძლივი ტაშის გრიალში ეგებებიან ცნობას იმის შესახებ, რომ თბილისის XXI პარტიული კონფერენციის დელეგატებად ერთსულოვნად არჩეული იქნენ დიდი **სტალინის** თანამებრძოლნი — ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი** და **ლ. პ. ბერია.**

მომხსენებელს მოჰყავს ცნობები კონფერენციის დელეგატების შემადგენლობის შესახებ. მათგან 501 დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. დელეგატთა შორის 31 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 103 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და 169 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

დელეგატთა შორის 56 ქალია. კონფერენციაზე დელეგატებად არჩეული არიან: 135 პარტიული, 18 კომკავშირული მუშაკი, 97 მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკი, 168 საბჭოთა-ადმინისტრაციული ორგანოებისა და პროფკავშირების მუშაკი, 45 მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე და 77 სამხედრო მოსამსახურე.

დელეგატების საერთო შემადგენლობის 93,6 პროცენტს აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლება. გარდა ზოგადი და სპეციალური განათლებისა 171 დელეგატს მიღებული აქვს უმაღლესი პარტიულ-პოლიტიკური განათლება.

კონფერენცია შეუდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშაობის შეფასებას. მიღებულია წინადადება: დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომებისა და არადამაკმაყოფილებელი პრაქტიკული მუშაობისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში ცნობილ იქნას არადამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ დაამტკიცა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება და აირჩია კომისია პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

შემდეგ კონფერენციამ განიხილა დღის წესრიგის მესამე საკითხი — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის, სარევიზიო კომისიისა და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის პირველი საოლქო კონფერენციის დელეგატების არჩევნები.

გამოქვეყნდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების შესახებ. კონფერენციის დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირის დავალებით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. მ. მაღრაძეს შეავქვს წინადადება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი არჩეულ იქნას 69 წევრისა და 21 კანდიდატის შემადგენლობით, ხოლო სარევიზიო კომისია 7 კაცის რაოდენობით. ამ წინადადებას იღებენ.

შემდეგ კონფერენცია ასახელებს კანდიდატურებს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობაში და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის პირველი საოლქო კონფერენციის დელეგატთა კანდიდატურებს, აირჩევს დამთვლელ კომისიას.

კონფერენციამ მიიღო ვრცელი დადგენილება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, რომელიც ასახავს ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომ პასუხსაგებ ამოცანებს.

კონფერენციის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი მისალმების ტექსტი.

ამით დამთავრდა კონფერენციის მეოთხე სხდომა.

(საქდესი).

## ДИДИ САБЧОТА ЕНЦИКЛОПЕДИИС МЕРВЕ ТОМИ

(მეოთხე გამოცემა)

გამოვიდა და ხელისმომწერლებს ურიგდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-2 გამოცემის მერვე ტომი, რომელიც შეიცავს სიტყვებს „ვიბრაფონიდან“ „ვოლგოგომდე“.

ახალი ტომი, ისე როგორც წინანდელი ტომები, შეიცავს მრავალ ცნობას ცოდნის ყველა დარგში.

სამი სტატია მიძღვნილია ვ. ი. ლენინის უკვდავი ნაწარმოებებისადმი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიებისათვის, — „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“, „ომი და რევოლუცია“ და „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები გაშუქებულია სტატიებში „ბოლშევიკების სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციები“, „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები“, „სამხედრო კომისარი“, „სამხედრო კომუნიზმი“.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-8 ტომის მთელი რიგი სტატიები მიძღვნილია სამხედრო საკითხებისადმი. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტატიას „ომი“. იქ ჩამოყალიბებულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ომების წარმოშობის, ხასიათისა და არსის შესახებ. მოცემულია მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური საზოგადოების ომების და იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ომების დახასიათება, ლაპარაკია სსრ კავშირის ხალხთა შეიარაღებულ ბრძოლაზე იმპერიალისტთა თავდასხმისაგან სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და სოციალისტური სახელმწიფოს ბრძოლაზე მშვიდობისათვის. სტატია „სამხედრო საპატიო სახელწოდებანი“ მოგვაგონებს საბჭოთა არმიის მიერ დიდი სამამული ომის წლებში მოპოვებულ სახელოვან გამარჯვებებს.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-8 ტომში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ხალხის ნიჭიერ წარმომადგენლებს: ყმა გლეხს მიხეილ ვოლკოვს — კუზნეცკის აუზის ქვანახშირის საბადოების პირველ აღმომჩენს; გამომგონებელ ა. რ. ვლასენკოს, რომელმაც ამერიკელებზე ათი წლით ადრე 1868 წელს გააკეთა მსოფლიოში პირველი მარცვალსაწმენდი მანქანა კომბაინის ტიპისა—„სამკელ-სალეწი“; მუშა რევოლუციონერს ვ. ს. ვოლკოვს, მოროზოვის მანუფაქტურის 1885 წლის განმქმელი გაფიცვის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს; მქსოველ ქალებს ე. ვ. და მ. ი. ვინოგრადოვებს—სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობაში სტახანოვური მოძრაობის ინიციატორებს და ბევრ სხვას, რომლებმაც დიდი საგმირო საქმენი ჩაიდინეს სამშობლოს სასახელოდ.

წიგნში მოყვანილია ცნობები, რომლებიც სხვადასხვა მხრივ ახასიათებენ ჩვენს ქვეყანაში ბუნების გარდაქმნის საკითხს. გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერ-ნიადაგმცოდნის, თანამედროვე აგრობიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვ. რ. ვილიამსის შესახებ სტატიაში ჩამოყალიბებულია მისი მოძღვრება მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის თაობაზე, რომლის ძირითადი დებულებანი გახდა „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის გაშენების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემუშავების საფუძველი.

სტატიაში „ვოლგა“ მოყვანილია ცნობები რუსეთის დიდი მდინარის ძირითადი კომპლექსური გარდაქმნის გრანდიოზული პროექტის შესახებ, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „დიდი ვოლგის სქეჭრი“. ეს პროექტი, რომელიც 1932 წელს წარმოიშვა ი. ბ. სტალინის ინიციატივით, ითვალისწინებს ვოლგასა და მის უმთავრეს შენაკადებზე რამდენიმე კაშხალის აგებას მძლავრი ჰიდროელექტროსადგურებით, რომლებსაც შეეძლებათ საერთო ენგარიშით გამომუშაონ 60-65 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. უკვე მოქმედი მოსკოვის სახელობის არხი, შირკაკოვისა და ულანჩის ჰიდროკვანძები, მშენებლობის პროცესში მყოფი გორკისა და მოლოტოვის ჰიდროკვანძები, კომუნიზმის დიადი მშენებლობანი — კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები დიდი ვოლგის სქეჭის გეგმაშეწონილი განხორციელების ეტაპებია. სტატიები „ვოლგა-დონი“ და „ვოლგა-დონის სანაოსნო არხი“ ამ ცნობებს ავსებენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსზე საუბრით.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-8 ტომში დიდი სტატიები მიძღვნილია მრეწველობის, ეკონომიკისა და პოლიტიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხებისადმი. აქ შეიძლება დავასახელოთ ისეთი სტატიები, როგორიცაა „ვლადიმირის ი. ა. ჟდანოვის სახელობის სატრაქტორო ქარხანა“ „ვიტამინის მრეწველობა“, „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა“, „საგარეო ვაჭრობა“, „სამხედრო ეკონომიკა“, „წყალი“, „ჰაერი“, „ბიზანტია“, „აღორძინება“ („რენესანსი“) და სხვ.

საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის მე-8 ტომი შეიცავს მთელ რიგ ნარკვევებს. ისტორიის, ფიზიკისა და ეკონომიკა-გეოგრაფიის დარგში, რომლებიც მიძღვნილია ჩვენი სამშობლოს დიდი ქალაქებისადმი — ვლადივოსტოკისადმი, ვლადიმირის, ვილნიუსის, ვინიცის, ვიტებსკისა და შესაბამისი ოლქებისადმი.

წიგნში მოთავსებულია 50-ზე მეტი ილუსტრაცია და რუკა ცალკე ფურცლებზე და, გარდა ამისა, სტატიების ტექსტში მოთავსებული 570 ნახატი, ფოტოსურათი და სქემა. (საქდესი).

## წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა

**წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა 10 აპრილისათვის 102,6 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა.**

**საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ციხისთავი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნატროშვილი იტყობინებიან, რომ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.870 ჰექტარისა დათესილია 10.129 ჰექტარი. რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დათესონ 1.000 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.**

## რკინიგზის ახალი საღგურები

ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით ფართოვდება რკინიგზის ვაგზლების აღდგენის, რეკონსტრუქციისა და ახალი ვაგზლის მშენებლობის სამუშაოები. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აღდგენილ და აგებულ იქნა 500-ზე მეტი ვაგზალი, მათ შორის ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც არის რიგა, ფსკოვი, სმოლენსკი და სხვ.

ორი დიდი ვაგზალი—კაუნასისა და ვიტებსკისა გადაცემულ იქნა საექსპლოატაციოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. კაუნასის ახალი ვაგზალი, რომელიც აშენდა ლენინგრადელი არქიტექტორის პ. აშასტინის პროექტით, ერთ-ერთი დიდი და ლამაზი ნაგებობაა ლიტვის მაგისტრალზე.

წელს გზათა სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები საექსპლოატაციოდ გადასცემენ ათობრით ახალ ვაგზალს. უახლოეს ხანში უნდა დამთავრდეს ხარკოვის, იასინოვატაიას, კრამატორსკისა და არტემოვსკის დიდი ვაგზლების მშენებლობა. დასასრულს უახლოვდება ახალი ვაგზლის მშენებლობა კურორტ-ქალაქ სოჭში. წარმოებს ვაგზლების რეკონსტრუქცია ულიანოვსკში, კრასნოდარში. (საქდესი).

## ახალი ტექნიკა

### მანიპულატორი ჯგუფური ბურღვისათვის

გვირაბის გაყვანის ყველაზე შრომატევადი ოპერაციაა ქანების ასაფეთქებელი შპურების ბურღვა. მძიმე საბურღავი მანქანების ხელით დადგმა მოითხოვს ბევრ დროს და ამცირებს გამყვანთა შრომის ნაყოფიერებას.

ქვანახშირის მანქანების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის კონსტრუქტორებმა მოითხოვეს გამოიყენონ ამ ოპერაციაზე მეტწილ სანგრევებში არსებული ქანსატვირთავი მანქანები. ამ მანქანებზე დგამენ სპეციალურ მოსახსნელ მოწყობილობებს, — მანიპულატორებს, რომლებზეც ჩამოკიდებულია ელექტრობურღები ან საბურღავი ჩაქუჩები. თვითეულ მანქანაზე იყენებენ ორ ასეთ მექანიზმს მარჯვენა და მარცხენა მხრიდან. ეს საშუალებას აძლევს ერთ მუშას აწარმოოს შპურების ბურღვა სანგრევის მთელ ფართობზე. ბურღვის დამთავრების შემდეგ მანიპულატორებს ხსნიან, მანქანა კვლავ მზად არის ქანის დასატვირთავად.

ამჟამად ასეთ მოწყობილობებს იყენებენ დონბასისა და კუზბასის შახტებში. შპურების ბურღვის დრო მცირდება 30-40 პროცენტით, მნიშვნელოვნად მსუბუქდება მბურღავთა შრომა.

# საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა VIII პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა შემდეგი საკითხები: „მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ"; „ახალგაზრდობაში კომკავშირული ორგანიზაციების ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის შესახებ"; „დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესიის შედეგების შესახებ". განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

* * *

პირველი საკითხის შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ა. მიხაილოვმა. მომხსენებელი და პლენუმის მონაწილენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ მანქანათმშენებლობის მრეწველობის დიდ მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის. კომკავშირელები და ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა მანქანათმშენებლობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

მოხსენებაში და პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვებში აღინიშნა აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებანი მანქანათმშენებლობის მრეწველობის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

პლენუმმა მანქანათმშენებლობის საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა—უზრუნველყონ მუშაობის შემდგომი გაძლიერება ახალგაზრდობის დასაჩქარებლად საბჭოთა მანქანათმშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

პლენუმმა წინადადება მისცა მანქანათმშენებლობის საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებს, რაიკომებს, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს აღმოფხვრან დიდი ნაკლოვანებანი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში, ჩაბან შეჯიბრებაში მთელი ახალგაზრდობა, იზრუნონ იმისათვის, რომ ახალგაზრდა მუშების ვალდებულებანი სავსებით შეესაბამებოდეს ამა თუ იმ საწარმოს წინაშე დასახულ ამოცანებს და მიზნად ჰქონდეს არა მარტო საწარმოო ნორმების, ცვლისა და თვიური დავალებების მთლიანად და გადამეტებით შესრულება, არამედ პროდუქციის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებაც.

საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებს და ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებს პლენუმმა დაავალა უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესოდ შესრულებისათვის მუშაობის გამოცდილების, ლითონის დამუშავების ჩქაროსნული მეთოდების უფრო ფართოდ დანერგვას, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ ბევრ ქარხანაში გაჩაღებულ მუშაობას ლითონის მომჭირნეობისათვის.

კომკავშირული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ახალგაზრდობის აღზრდას შრომის დისციპლინის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, მოთმინებით და გულმოდგინედ უნდა უნერგავდნენ თვითეულ ახალგაზრდა მუშას შრომისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებას.

პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობის ზოგად-საგანმანათლებლო და საწარმოო-ტექნიკურ სწავლებას.

პლენუმმა დაავალა მანქანათმშენებლობის საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი აღმავლობა, ბოლო მოუღონ ნაკლოვანებებს პოლიტიკურ განათლებაში, გამუდმებით იმუშაონ კომკავშირის რიგების ზრდის საკითხებზე, ეცადონ მთელი მოწინავე ახალგაზრდობის ჩაბმას საკავშირო ალკკ რიგებში.

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოები მოწოდებული არიან უზრუნველყონ მანქანათმშენებლობის საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა, მიაღწიონ საამქროთა კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირული ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესებას. კომკავშირული ორგანოები მოვალენი არიან უფრო მეტად იზრუნონ მანქანათმშენებლობის საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების შერჩევისა, აღზრდისა და სწავლებისათვის, რეგულარულად მოისმინონ მათი ანგარიშები, მოიწვიონ ისინი ინსტრუქტაჟისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის.

* * *

მოხსენება „ახალგაზრდობაში კომკავშირული ორგანიზაციების ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის შესახებ" გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ნ. შელეპინმა.

მომხსენებელი და პლენუმის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა მშრომელთა წარმატებითი ფიზიკური აღზრდისათვის. ფიზკულტურული მოძრაობა სსრ კავშირში ნამდვილ მასობრივ და საყოველთაო-სახალხო მოძრაობად გადაიქცა. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს მრავალი მსოფლიო და ევროპის რეკორდი.

აღნიშნეს რა კომკავშირის აქტიური მონაწილეობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის წარმოებულ მთელ მუშაობაში, მომხსენებელმა და პლენუმის მონაწილეებმა ამასთან გააკრიტიკეს სერიოზული ნაკლოვანებები ამ საქმეში. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია და ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანო ფიზკულტურის კომიტეტებს, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების საბჭოებს საკმაო დახმარებას ვერ უწევს მუშა, კოლმეურნე, მოსწავლე ახალგაზრდობაში მასობრივი ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის წარმოებაში. ახალგაზრდობაში კომკავშირული ორგანიზაციების ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის ნაკლოვანებანი აიხსნება იმით, რომ კომკავშირის ზოგიერთი რაიკომი, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალური კომიტეტები ჯეროვნად არ აფასებენ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

პლენუმმა წინადადება მისცა კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს უზრუნველყონ ფიზკულტურის ორგანიზაციებთან და პროფკავშირებთან ერთად მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობა, ამ მოძრაობაში ახალგაზრდობის ფართო ფენების ჩაბმა, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება და ამ საფუძველზე საბჭოთა სპორტსმენების მიერ უახლოეს ხანში მსოფლიო პირველობის მოპოვება სპორტის უმნიშვნელოვანეს სახეობებში.

პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები, ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოები უნდა ცდილობდნენ მიაღწიონ იმას, რომ საკავშირო ალკკ წევრები, ახალგაზრდობის უმრავლესობა რეგულარულად ეწეოდნენ ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, აბარებდნენ ნორმებს ნიშნზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის".

კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისადმი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის დარგში.

* * *

მოხსენება „დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესიის შედეგების შესახებ" პლენუმზე გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ი. კოჩემასოვმა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის კოპენჰაგენის სესიის გადაწყვეტილებანი. პლენუმმა დაავალა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს განაგრძონ მუშაობა მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის; ხელი შეუწყონ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესიის გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომელთა მიზანია ახალგაზრდობის უფრო აქტიური მონაწილეობა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

* * *

პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

## კოპერნიკის ხელნაწერებისა და პოლონეთის ეროვნული კულტურის სხვა ფასეულობათა გადაცემა პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობისათვის

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ აღმოსავლეთ პრუსიაში საბჭოთა არმიის 1945 წლის თებერვლის ბრძოლების დროს საბჭოთა სამხედრო ორგანიზაციების განკარგულებაში გადმოვიდა გამოჩენილი პოლონელი ასტრონომის კოპერნიკის მნიშვნელოვანი ისტორიული ფასეულობის მქონე ზოგიერთი მასალა, დოკუმენტები, ძველებური წიგნები პოლონეთის ისტორიიდან, საეკლესიო ნივთები და მეცნიერული ლიტერატურა ლათინურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, რაც შეგროვებულ იქნა ფრაუენბურგის (ფრომბორკის) ტაძარში, რომლის კანონიკიც მრავალი წლის განმავლობაში კოპერნიკი იყო.

აღნიშნულ მასალათა შორის არის ვარმის საეპისკოპოსოს ხელნაწერი წიგნები (XV, XVI საუკუნეები). ეს წიგნები შეიცავენ სამეურნეო ხასიათის ჩანაწერებს, რომელთაგან ორ ათეულ ჩანაწერზე მეტი კოპერნიკს ეკუთვნის. ამ მასალებშია აგრეთვე წერილები კოპერნიკისადმი, მიწერ-მოწერა პოლონეთის XVI საუკუნის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწე ეპისკოპოს კრომერთან, აგრეთვე დაახლოებით 100 ტომი ხელნაწერი წიგნები, 200-ზე მეტი ტომი მეცნიერული ლიტერატურა პოლონეთის ისტორიიდან, ფილოსოფიიდან, ბუნებისმეტყველებიდან და სხვ.

საბჭოთა მთავრობამ პოლონეთის ეროვნული კულტურისადმი პატივისცემის ნიშნად, აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ აღნიშნული მასალები, დოკუმენტები და წიგნები კანონით უნდა ეკუთვნოდეს პოლონეთის სახელმწიფოს, მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს ეს კულტურული ფასეულობანი პოლონეთის მთავრობას.

საბჭოთა მთავრობის ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად 1952 წლის 10 აპრილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც აღნიშნული კულტურული ფასეულობანი ინახებოდა, მოხდა მათი გადაცემა პოლონეთის წარმომადგენლებისათვის. მთელი რიგი გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების თანდასწრებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა აკადემიკოსმა გრეკოვმა ეს ფასეულობანი გადასცა პოლონეთის მთავრობის რწმუნებულს, პოლონეთის უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილეს გოლიანსკის.

(საკდესი).

## ცემენტის ხსნარის დასამზადებელი მანქანა

თურქმენეთის ნავთის სარეწებში წარმატებით გამოსცადეს ახალი თვითმავალი მანქანა ცემენტის ხსნარის დასამზადებლად, რაც დიდი რაოდენობით იხარჯება ნავთისა და გაზის ჭაბურღილების გათხრისას. ამ მანქანების გამოყენება შესაძლებლობას ქმნის შემცირდეს ცემენტის დანაკარგი, გაუმჯობესდეს სამუშაოთა ხარისხი, განთავისუფლდეს ბევრი მუშა. (საკდესი).

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

# მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა ორი ბრიგადის შეჯიბრება

**უკვე რამდენიმე წელიწადია ერთმანეთს ეჯიბრებიან ზესტაფონისა და ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნების მეტალურგები. უკრაინელ და ქართველ მეტალურგთა შემოქმედებითს თანამეგობრობას თავისი შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს. როგორც ქართველმა, ისე უკრაინელმა ფეროშენადნობელებმა წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი. ახლა ორივე ქარხნის კოლექტივები იბრძვიან ლითონის ზეგეგმითი დნობის გადიდებისა და თვითეული დნობის ღირებულების გაიაფებისათვის.**

**1952 წელს სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება ზაპოროჟიესა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების ცალკეულ ბრიგადებს შორის. ამას წინათ ზესტაფონის ქარხნის უფროსმა მდნობელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ს. ფერაძემ თავისი ბრიგადის სახელით მიმართა ზაპოროჟიეს ქარხნის ბრიგადირს სტალინური პრემიის ლაურეატს ამხ. მ. კრასნოკუტსკის, რომ ორივე ბრიგადაზე შორის გაეფორმებინათ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება მიმდინარე წლისათვის.**

**განიხილა რა ქართველ თანამოძმეთა წერილი, ამხ. კრასნოკუტსკის ბრიგადამ ხალხისთ მიიღო ამხ. ფერაძის ბრიგადის გამოწვევა.**

**ქვემოთ ვთავაზობთ ამხ. ფერაძისა და ამხ. კრასნოკუტსკის წერილებს:**

★

### ძვირფასო ამხანაგო კრასნოკუტსკი

მდნობელთა ჩვენი ბრიგადა შარშან სამეურნეო წლის ყველა თვეში ინარჩუნებდა საამქროს გარდამავალ წითელ დროშას, რომელიც დაწესებულია მოწინავე ბრიგადის მუშაობის შედეგებისათვის. ამ დროშას წელსაც ინარჩუნებს ჩვენი ბრიგადა.

ვისწრაფვით რა მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცებისა და იმ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რაც ჩვენმა ბრიგადამ და მთლიანად საწარმოს კოლექტივმა იკისრა, მივმართავთ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ბრიგადას დადოს ჩვენთან სოციალისტური ხელშეკრულება.

გიწვევთ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირობას გაძლევთ შემდეგშიც ფართოდ დავნერგოთ შრომის ნოვატორული მეთოდები და კერძოდ ღუმელი ვამუშაოთ გადიდებული სიმძლავრით. იმ ღუმელზე, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ, ვკისრულობთ 5 პროცენტით მეტი შენადნობი მივცეთ ქვეყანას იმასთან შედარებით, რაც ფაქტიურად გამოვადნეთ შარშან. ამას მივაღწევთ კოლექტიური სტახანოვური შრომის გამოყენებით და აგრეგატების კარგი მოვლით. ღუმელის თვითეული ნაწილის მუშაობის გახანგრძლივების მიზნით მონაწილეობას მივიღებთ ღუმელის შეკეთებაში, ხოლო მიმდინარე რემონტს თვითონვე ვაწარმოებთ.

ჩვენი ღუმელის სხვა ბრიგადებთან ერთად 30-40 დღით გაეახანგრძლივებთ აგრეგატის კაპიტალურ რემონტთა შორის სამსახურის ვადას. ვკისრულობთ აგრეთვე ბრიგადის თვითეული წევრის შრომის ნაყოფიერების გადიდებას 5 პროცენტით. ამ მიზნით სისტემატურად ავიმაღლებთ კვალიფიკაციას, ფართოდ გამოვიყენებთ მოწინავე მდნობელთა მუშაობის გამოცდილებას.

ბრიგადა კისრულობს დაზოგოს 300 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ამასთან შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, ელექტროენერგიისა და მასალების ეკონომიით სისტემატურად შევამცირებთ თვითღირებულებას.

თქვენი ბრიგადის მიღწევები, ამხანაგო კრასნოკუტსკი, ჩვენთვის ცნობილია და ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ პირველობის მოპოვება ადვილი არ იქნება, მაგრამ იოლ გზას ჩვენ არ ვიძებთ. ვინც უნდა გაიმარჯვოს ჩვენს შეჯიბრებაში, ეს იქნება გამარჯვება საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენი სახელით სალამი გადაეცით ზაპოროჟიეს ქარხნის სახელოვან კოლექტივს.

ველით თქვენს პასუხს.

**ბრიგადის დავალებით ს. ფერაძე**

**ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი**

### ძვირფასო სავლე ნესტორის-ძევ

დიდი კმაყოფილებით წავიკითხეთ ბრიგადაში თქვენი წერილი და სიხარულით ვებმებით შეჯიბრებაში ზესტაფონის ქარხნის მეღუმელეთა ერთერთ საუკეთესო ბრიგადასთან.

დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში საბჭოთა ხალხს წინაშე დასახა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აგების პროგრამა. ამხანაგ სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენმა ქვეყანამ უახლოეს ხანში ყოველწლიურად უნდა გამოადნოს 50 მილიონამდე ტონა თუჯი და 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, ღრმად აღბეჭდა ჩვენს გულში. ჩვენ, მეტალურგებს, მოგვმართავს ბელადი მოწოდებით: მთელი ძალები მეტალურგიას! და არ არის იმაზე უფრო სასატიო დავალება, როგორიც სტალინური დავალებაა, არ არის უკეთესი ბედნიერება, ვიდრე მუშაობდე საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ვებმებით რა შეჯიბრებაში თქვენს ბრიგადასთან, ამხანაგო ფერაძე, ჩვენ ვკისრულობთ ყოველდღიურად 110 პროცენტით შევასრულოთ საწარმოო გეგმა და წლური გეგმის გადამეტებით მივცეთ ქვეყანას 210 ათასი ტონა ნადნობი. ამასთან თვითეული ტონა ლითონის გამოდნობაზე დავზოგავთ 120 კილოვატსაათს.

„ზაპოროჟსტალის" სტახანოველი, მთელ საბჭოთა კავშირში ფოლადის ცნობილი მდნობელი ს. იაკიმენკო, როგორც თქვენ იცით, გახდა ჩქაროსნული მეთოდით თვითეული დნობის მიღებისათვის მეტალურგთა კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების წამომწყები. ამ წამოწყების მიზანია წლიური გეგმის ვადამდე შესრულება. ამ თაოსნობის გაფართოებით ჩვენ შეძლებთ ბევრი რამ კარგის მიღწევას.

ზაპოროჟიელი ფეროშენადნობელები გამოეხმაურნენ ამხ. იაკიმენკოს მოწოდებას და წამოაყენეს ახალი ლოზუნგი: „ზეგეგმით ფოლადს — ზეგეგმითი ფეროშენადნობები!" ამ ლოზუნგით ეჯიბრებიან ახლა ერთმანეთს ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები.

ვიღებთ რა თქვენს გამოწვევას, პირობას გაძლევთ, რომ გავამართლებთ ჩვენს დაპირებას.

მხურვალე სალამი ზესტაფონელ მეტალურგებს ჩვენი ქარხნის მთელი კოლექტივისაგან.

მაგრად გართმევთ ხელს.

**ბრიგადის დავალებით**

**მ. კრასნოკუტსკი**

**ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი ღუმელის ბრიგადირი, სტალინური პრემიის ლაურეატი**

# სწორად შევარჩიოთ და აღვზარდოთ კადრები

ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება მთავარია პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ მუშაობაში. პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობა, კომუნისტურ მშენებლობაში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლება მოითხოვს კადრების შერჩევისა და აღზრდის დარგში მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას.

**„მშენებლობას რომ უხელმძღვანელო,**—მიგვითითებდა ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1927 წელს, — **ამისათვის არ კმარა სწორი დირექტივები გქონდეს,—ამისათვის საჭიროა კიდევ ის, რომ ჩვენი საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერაციული და ყოველგვარი სხვა აღმშენებლობითი მუშაობის ხელმძღვანელ პოსტებზე დაეყენონ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ესმით ამ დირექტივების აზრი და მნიშვნელობა, რომლებსაც უნარი შესწევთ პატიოსნად და კეთილსინდისიერად გაატარონ ეს დირექტივები, რომლებსაც ამ დირექტივების გატარება მიაჩნიათ არა ფუჭ ფორმალობად, არამედ პატივის საქმედ, პარტიისა და პროლეტარიატის წინაშე თავიანთი უმაღლესი მოვალეობის საქმედ".**

სწორად შევარჩიოთ კადრები და სწორად გავანაწილოთ ისინი სამუშაოზე — ეს ნიშნავს იმას, რომ შევარჩიოთ მუშაკები პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით. პარტია გვასწავლის ვიფასებდეთ კადრებს, ვიცნობდეთ მუშაკებს, ვსწავლობდეთ მათს ღირსებასა და ნაკლს, ვანაწილებდეთ ადამიანებს ისე, რომ თვითეული მათგანი თავის ადგილას გრძნობდეს თავს. საჭიროა მზრუნველობით ვზრდიდეთ კადრებს, არ ვიშურებდეთ დროს იმისათვის, რომ მოთმინებით „ვსდიოთ" მუშაკებს, დროზე და გაბედულად ვაწინაურებდეთ ახალ ადამიანებს, ისე, რომ მეტისმეტად დიდხანს არ დარჩნენ ძველ ადგილზე და არ დამჟავდნენ, უნარიანად ვახამებდეთ ძველსა და ახალ კადრებს.

პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის უდიდესი ამოცანები გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ კადრებს და მთელი სიმწვავით გვიკარნახებენ იმას, რომ საჭიროა პარტიული და საბჭოთა მუშაკების იდეური და საქმიანი დონის შემდგომი ამაღლება.

პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ აუმჯობესებენ კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეს, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მუშაკთა იდეურ შეიარაღებას და პოლიტიკურ გამოწრთობას. მრავალი ათასი პარტიული და საბჭოთა მუშაკი სერიოზულ მომზადებასა და გადამზადებას გადის პარტიულ სკოლებში და სხვადასხვა კურსებზე.

კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებას, მათს იდეურ და საქმიან ზრდას მუდამ მოაქვს დადებითი შედეგები, უზრუნველყოფს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობის დონის ამაღლებას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აღმოფხვრა კადრებთან მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. ცალკეული პარტიული კომიტეტები ურიგდებიან მუშაკთა დაწინაურების ბოლშევიკური პრინციპების დარღვევას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ალტაის სამხარეო კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიის სამხარეო კომიტეტის ბიურო ყოველთვის გულდასმით როდი სწავლობს ხელმძღვანელ სამუშაოზე დასაწინაურებელ მუშაკთა პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს. იყო შემთხვევები, როცა სამხარეო კომიტეტმა პასუხსაგები პოსტებისათვის შეარჩია ადამიანები, რომლებსაც თავიანთი საქმიანი თვისებებით უნარი არ შესწევთ უზრუნველყონ მინდობილი მუშაობა. პლენუმზე მოყვანილ იქნა აგრეთვე ისეთი ადამიანების დაწინაურების მაგალითები, რომლებიც საეჭვონი არიან, პოლიტიკურ ნდობას არ იმსახურებენ. გასული წლის მანძილზე მხარეში შეცვალეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი. ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიის ალტაის სამხარეო კომიტეტს ჯერ კიდევ არ დაუმყარებია საჭირო წესრიგი კადრებთან მუშაობაში, არ აღმოუფხვრია შემთხვევითობისა და მოუფიქრებლობის ელემენტები ისეთ პასუხსაგებ საქმეში, როგორიც არის მუშაკთა შერჩევა და განაწილება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კადრები უნდა შეაფასონ უწინარეს ყოვლისა მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. მუშაკის ცოცხალი, პრაქტიკული მუშაობა, იმის უნარი, რომ განახორციელოს პარტიისა და მთავრობის დირექტივები, მისი თვისებების ყველაზე ობიექტური შეფასებაა. მუშაკები უნდა შეგისწავლოთ და შეგამოწმოთ არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების, არა ფორმალური ანგარიშების მიხედვით, არამედ მინდობილი საქმის ფაქტიური შესრულების მიხედვით.

პარტიის თათრეთის საოლქო კომიტეტის მუშაობის პრაქტიკაში გვხვდება ამა თუ იმ მუშაკის შეფასებისადმი არასწორი მიდგომის ფაქტები. აქ ზოგჯერ ადამიანებზე მსჯელობენ არა მათი საქმეების, არამედ ფორმალური მონაცემების მიხედვით. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ, მაგალითად, კუზნეჩიხის რაიკომის ყოფილი მდივნის ამხ. აფონინის მუშაობის დიდი ნაკლოვანებანი და შეცდომები საოლქო კომიტეტმა მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც იგი გაგზავნილ იქნა სხვა რაიონში სამუშაოდ. ამის შედეგად კი გამოვიდა, რომ ახალ ადგილზეც ამხ. აფონინი არასწორი მეთოდებით მუშაობს, არღვევს შინაპარტიულ დემოკრატიას, ვერ ურიგდება კრიტიკას. თუმცა ამის შესახებ კომუნისტებისაგან მიღებული აქვს სიგნალები, მაგრამ პარტიის თათრეთის საოლქო კომიტეტის ბიურო არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებას.

კადრების აღზრდის ნაკადი მეთოდია ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. ნამდვილად ბოლშევიკური კადრები შეიძლება აღვზარდოთ მხოლოდ პირდაპირი და პატიოსანი თვითკრიტიკის ვითარებაში, შეცდომების კეთილსინდისიერად გამომჟღავნებისა და აღმოფხვრის ვითარებაში. შეცდომების დროზე გამომჟღავნება, ამ შეცდომების წარმომშობი მიზეზების შესწავლა და შეცდომების გამოსწორებისათვის საჭირო გზების დასახვა კადრების სწორი სწავლებისა და აღზრდის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა.

პარტიული ორგანიზაციები გადაჭრით უნდა იბრძოდნენ კადრების შერჩევისა და აღზრდის ბოლშევიკური პრინციპების დარღვევის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ამხანაგები, რომლებიც სხვა სამუშაოზე გადაყვანისას თან მიათრევენ თავიანთ „კუდებს" — განსაკუთრებით ახლობელ ადამიანებს, ჯერ კიდევ არიან მუშაკები, რომლებიც კადრებს არჩევენ არა ობიექტური ნიშნებით, არამედ სუბიექტური, ობივატელურ-მეშჩანური ნიშნებით, არჩევენ ყველაზე ხშირად ეგრეთწოდებულ ნაცნობებს, პირად მეგობრებს, თავისი კუთხის ადამიანებს, პირადად ერთგულ ადამიანებს, თავიანთი შეფების ქების ოსტატებს—მიუხედავად მათი პოლიტიკური და საქმიანი გამოსადეგობისა.

ასეთი ფაქტებია, მაგალითად, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში, რის შესახებაც ლაპარაკობდნენ რესპუბლიკურ თათბირზე პარტიული მუშაკები. დენაუს რაიკომის ყოფილი მდივანი ამხ. აკრამოვი ადამიანთა შერჩევას აწარმოებდა პირადი მეგობრული ნიშნებით, ნერგავდა შინაურულობას, რის შედეგადაც ზოგიერთ რაიონულ ორგანიზაციაში სამუშაოზე მოხვდნენ ადამიანები, რომლებიც შემდეგ მხილებულ იქნენ როგორც უუნარონი მუშაობაში, ანდა როგორც აშკარა ყალთაბანდები.

ჯერ კიდევ ყველგან როდია აღმოფხვრილი იმ ადამიანების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის მანკიერი პრაქტიკა, რომლებიც მუშაობას ფუშავენ. პარტიის ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ ასეთი მანკიერი პრაქტიკა შემჩნეულია ისკიტიმის რაიონში. აქ ზოგიერთი მუშაკი ერთი სამუშაოდან გადაპყავთ მეორეზე და ურიგდებიან იმას, რომ ისინი ცუდად ეკიდებიან საქმეს, ვერ ამართლებენ ნდობას.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა დროზე და გაბედულად აწინაურებდნენ ახალ ახალგაზრდა კადრებს ხელმძღვანელ პოსტებზე, აღებული ჰქონდეთ გეზი იმისაკენ, რომ შეახალონ ძველი და ახალგაზრდა მუშაკები.

განსაკუთრებით საყურადღებოა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ქალთა კადრებთან, ქალთა დაწინაურება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა მუშაობის ხელმძღვანელ პოსტებზე და მათი შენარჩუნება ამ პოსტებზე. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ქალთა მარტო შერჩევასა და დაწინაურებას სჯერდება და შემდეგ არ ზრუნავს იმისათვის, რომ ეს კადრები შენარჩუნებულ იქნან სამუშაოზე, იზრდებოდნენ პოლიტიკური და საქმიანი თვალსაზრისით.

სწორად შეარჩიონ კადრები, იდეურად შეაიარაღონ ისინი, შეასწავლონ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნება, შეამოწმონ, როგორ ასრულებენ ისინი პარტიულ გადაწყვეტილებებს, გამოაწრთონ კადრები პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში—ასეთია კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობა.

„პრავდის" 14-IV მოწინავე

# 60 წელი შრომის ფრონტზე

სტალინის სახელობის თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის ძველი მუშა ამხ. ალექსი ივანეს-ძე ბედიაშვილი აღნიშნულ საწარმოში (წინათ—ადელხანოვის ფაბრიკაში) 60 წელიწადი განუწყვეტლივ მუშაობს.

ამხ. ა. ბედიაშვილმა 14 წლისამ მოწაფედ დაიწყო მუშაობა ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, სადაც სამ წელს ხელფასს არ ღებულობდა.

მეფაბრიკე ადელხანოვი სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა მუშებს. მძიმე და აუტანელი იყო მაშინ მუშის ცხოვრება.

— ჩვენი ისედაც მცირე ხელფასის უდიდესი ნაწილი მეფაბრიკეს მიჰქონდა ჯარიმების სახით, — იგონებს ამხ. ბედიაშვილი, — ამის გამო დიდი იყო მუშების უკმაყოფილება. ცხრაასიან წლებში ჩვენი ფაბრიკის მუშებმა დაიწყეს გაფიცვები, რაც შემდეგ სხვა ფაბრიკა-ქარხნებშიც გავრცელდა.

— კარგად მახსოვს, — განაგრძობს ბედიაშვილი, — 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში. მუშები თანდათანობით ვიკრიბებოდით დემონსტრაციის ადგილას — ყოფილ სალდათის ბაზართან, სადაც პირველად აღიმართა წითელი დროშა თბილისში. ჟანდარმერიამ, სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ვერ შეძლო მუშათა ნებისყოფის გატეხა.

მეწაღვიკების ბატონობის წლებში მუშათა მდგომარეობა უჯრო აუტანელი გახდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მოუტანა განთავისუფლება და ბედნიერი ცხოვრების პირობები შეუქმნა საქართველოს მშრომელებს. ამხ. ბედიაშვილისთვისაც ცხოვრების ახალი ასპარეზი გადა

# დიდი იტალიელი მხატვარი

დღეს საბჭოთა ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღნიშნავს დიდი იტალიელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის ხსოვნას. ლეონარდოს მძლავრმა შემოქმედებითმა გენიამ ფასდაუდებელი განძი შესძინა მსოფლიო კულტურას როგორც ფერწერის შედევრების, ისე ხელოვნების საკითხებზე ღრმა ნაზრევისა და შორსმჭვრეტი შთანაფიქრის სახით; შეიძლება ითქვას, რომ ლეონარდო და ვინჩი მთელ რიგ თანამედროვე ღირსშესანიშნავ გამოგონებათა გენიალური წინამორბედი იყო. არ დარჩენილა ხელოვნებისა და მეცნიერების არც ერთი დარგი, სადაც ამ ტიტანური შემოქმედებითი ძალის მქონე ადამიანს თავისი კვალი არ დაეტოვებინოს.

ლეონარდო და ვინჩიმ შეძლო ძირფესვიანად შეეცვალა მოწინავე სახვითი ხელოვნების განვითარება. მან ხელოვნებას მეცნიერული საფუძველი შეუქმნა. იგი მხატვრისაგან მოითხოვდა ობიექტის სისტემატურ, გამუდმებულ შესწავლას და ამის შესანიშნავ მაგალითს თვითონ იძლეოდა. ლეონარდოს უდიდესი მიღწევები დამყარებულია ხელოვნების კანონების ღრმად შესწავლაზე; ამასთან ის არა მარტო სწავლობდა ამ კანონებს, არამედ თვითონ აყალიბებდა და სისტემაში მოჰყავდა მოძღვრება ხელოვნების ოსტატობის შესახებ. პერსპექტივის კანონები, შუქჩრდილის განფენილობა, ჰაეროვნების პერსპექტივა მან პირველმა შეისწავლა ისე, როგორც მანამდე არავის არ შეუსწავლია. დოსტაქრის ნაბიჯი შეიარაღებული, იგი გვამებზე სწავლობდა ადამიანის ანატომიას და ყოველივე ამას იყენებდა იმისათვის, რომ მიეღწია საოცარი გამომსახველობისათვის ან, როგორც თვით მხატვარი ამბობდა, „გათანასწორებოდა ბუნებას“.

ლეონარდო თავისი დიდი მხატვრობით უმეოროდა ადამიანის სილამაზეს, მის გრძნობათა სიმდიდრეს, ქმედითს ძალას და განცდის სიღრმეს. ლეონარდოს ხელოვნება უაღრესად ადამიანურია. ამაშია მისი მომხიბვლელი ძალა, რომლის შუქთადენა ასეული წლების შემდეგაც ჩაუქრობელი ლამპარივით უნათებს კაცობრიობას.

ლეონარდო და ვინჩის ყველაზე ბრწყინვალე მხატვრული ქმნილება — „მონა-ლიზა ჯოკონდა“ საუკუნეების მანძილზე უტკბობი დიდებით არის გარემოსილი. ლეონარდომ ამ პორტრეტით სრულიად ახალი ერა დაიწყო პორტრეტულ ხელოვნებაში. მანამდე არც ერთ მხატვარს არ მიეღწევია ადამიანის სულიერი ცხოვრების ასეთი ცხოველმყოფელი, შთამბეჭდავი გამოსახვისათვის. „ჯოკონდა“ იმდენად ბუნებრივია, იმდენად გამოირჩევა სულიერი ცხოვრების სიმდიდრითა და სიღრმით, იმდენად მაღალსტატუარად არის შესრულებული, რომ ლეონარდოს ცნობილ ბიოგრაფს ვაზარის ათქმევინა: „ჭეშმარიტად ეს პორტრეტი ისეა დაწერილი, რომ შეაშფოთებს და გააცეცხლებს ყველა გამოჩენილ მხატვარს, ვინც უნდა იყოს ის“. ჯოკონდას სახე უაღრესად ტიპიურია, ეს ნამდვილად რეალისტური პორტრეტია, რომელიც ამაღელვებლად მოგვითხრობს ლეონარდოს თანამედროვე მოწინავე ადამიანის განცდებზე.

ამ პორტრეტისათვის ლეონარდომ მოიხმარა სრულიად ახალი გამომსახველობითი საშუალებანი. მან შეცვალა პორტრეტის კომპოზიცია, მოუპოვა სახეს სრულიად თავისუფალი და ბუნებრივი მოძრაობა, და ბევრი რამ ამ პორტრეტის შემდეგ კანონად იქცა პორტრეტულ ხელოვნებაში. სულიერი ცხოვრების უნაზესი და უფაქიზესი განცდის გადმოსაცემად მან ამ პორტრეტში ქალის სახე შეამკო იმ მომჯადოებელი, სათუთი ღიმილით, რომელიც მშვენიერება ასეული წლების მანძილზე ქმნის ლეგენდებს მონა-ლიზას განცდების შესახებ.

სახვითი ხელოვნების ისტორიაში ცოტა მოიპოვება ისეთი სრულყოფილი ნაწარმოები, როგორიც არის ლეონარდო და ვინჩის „სერობა“. ეს სურათი დიდი მხატვრული გემოვნებით, უდიდესი კომპოზიციური ოსტატობით, პერსპექტივის დიდი ხელოვნებით, ჰაეროვნების ბრწყინვალე გადმოცემითა და ფერების სიცხოველით მსოფლიო ხელოვნების შედევრია.

ლეონარდოს უკვდავ ნაწარმოებთაგან ორი შედევრი — „მადონა ყვავილით“ და „მადონა ლიტა“ დაცულია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს მუზეუმში—სახელმწიფო ერმიტაჟში.

ლეონარდო მოღვაწეობდა იმ ეპოქაში, როდესაც იტალიაში ცხოვრებას დაპატრონებული იყვნენ ჰერცოგები, თავადაზნაურობა, სამღვდელოება. მათ სურდათ გენიოსი მხატვრის ნიჭი დაეხურდავებინათ თავიანთი გართობისა და ახირებული წვრილმანი საქმეებისათვის, მაგრამ დიდი მხატვარი მტკიცედ იცავდა თავის მრწამსს, თავის მისწრაფებას ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი, არ ფარავდა სიძულვილს ხელისუფალთადმი. ლეონარდოს სდევნიდნენ, ბრალს დებდნენ ურწმუნოებაში, ჯადოქრობაში, მაგრამ იგი მის წინააღმდეგ ბრძოლას დიდი მხნეობითა და სიმტკიცით ხვდებოდა. როგორც სხვა ქვეყნებისა თუ ეპოქების დიდი ჰუმანისტები, ლეონარდოც მთელი თავისი ნათელი, ოპტიმისტური შემოქმედებით ებრძოდა ყველა ჯურის ბნელეთისმოციქულთა, პროგრესის მოწინააღმდეგეთა ბოროტ ზრახვებს. იგი ქმნიდა გენიალურ ნაწარმოებებს და დარწმუნებული იყო, რომ მის შრომასა და ოსტატობას კაცობრიობა გამოიყენებდა თავისი შემდგომი განვითარებისათვის, ქვეყნად ბედნიერების დამკვიდრებისათვის.

დღეს, როდესაც ლეონარდოს სამშობლოს — იტალიის მშრომელთა მილიონები, მიუხედავად ქვეყნის მმართველთა ხროვის ვერაგული გამცემლობისა და ღალატისა, მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ქალაქები ავსებულია ამერიკელი ჯარისკაცებით, ხოლო იტალიის ნავსადგურები ამერიკული გემებით, შეუპოვარ, გმირულ ბრძოლას ეწევიან მშვიდობისა და დემოკრატიის დასაცავად, დიდი ჰუმანისტის ლეონარდო და ვინჩის სახელი ახალ ძალას მატებს ნათელი, ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლთა მგზნებარე გულებს.

**უჩა ჯაფარიძე**

*საქართველოს სახალხო მხატვარი*

# ვთესოთ სწრაფად და კარგად

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. გოლეთიანი) კარგად მოემზადა გაზაფხულისათვის. ხვნის გეგმა 128 პროცენტით შეასრულა. კოლმეურნეობა წელს 4 ჰექტარ ვენახს გააშენებს, ნიადაგი და სარგავი მასალა მომზადებულია. 2.100 ჰექტარი შემოდგომის ჯეჯილი გამარგლეს და ამჟამად მინერალური სასუქები შეაქვთ.

ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, კომუნისტი ა. ასათიანი ხელმძღვანელობს, ვადამდე შეასრულა ხვნის გეგმა, 100 ჰექტარი შემოდგომის ჯეჯილი გამარგლა, შეიტანა მინერალური სასუქი, დაამთავრა ვენახების ბარვა. მიმდინარეობს ვაზის სხვლა. ბრიგადის წევრები ალექსანდრა მანაგაძე, ჯ. ნემსაძე და მ. ქობულაძე ყოველდღიურ დაგალებას 150-200 პროცენტით ასრულებენ.

აგროტექნიკოს ა. იობაშვილის ბრიგადა 133 ჰექტარ შემოდგომის ჯეჯილს და 10 ჰექტარ ვენახს უვლის. ჯეჯილების გამარგვლა, გამოკვება და ფარცხვა, ვენახების ბარვა უკვე დაამთავრეს, დაიწყეს თესვა. კოლმეურნეები კ. ერაძე, ვ. მანაგაძე, ი. ერაძე, ო. გრძელიშვილი და სხვები ნაყოფიერად შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებში.

კარგი წარმატებები აქვთ ბრიგადებს, რომლებსაც ს. სვანიძე, ი. უგრეხელიძე, დ. სირაძე, ს. ბერძენაძე, ა. ჩაგელიშვილი, ე. ხეცურიანი, შ. კორტავა, ა. ბაქრაძე, დ. ახვლედიანი, ნ. ავქოფაშვილი ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეობებს შეუფერხებლად ეხმარებიან თამარისის მტს-ის მექანიზატორები (დირექტორი ა. ურუშაძე, მოადგილე პოლიტნაწილში გ. სტეფანია), რომლებმაც საგაზაფხულო ხვნის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

არის ნაკლოვანებებიც. სოფელ კაზრეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა გაზაფხულს მოუმზადებელი შეხვდა. ნაკვეთებში გასატანი აქვთ 1.500 ტონა ადგილობრივი ნაკელი, აკლიათ საზამთროს, პამიდორის, საკვები ჭარხლის თესლი. ცუდი მოვლის გამო ბუშა-პირუტყვი დასუსტებულია. სოფელ ქვემო ბოლნისის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მინდვრად გასატანი აქვთ 1.300 ტონაზე მეტი ნაკელი. ჯერაც არ შესდგომიან ჯეჯილების გამოკვებას და ფარცხვას. მნიშვნელოვანი რაოდენობით აკლიათ ბოსტნეულის თესლი.

რაიონის პარტიულმა და სამეწარმოქმედო ორგანოებმა ეს ნაკლოვანებანი სწრაფად უნდა გამოასწოროს.

**ვ. ხოფერია**

*„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი*

## საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურები

**ოზურგეთი, (საკ. კორ.).** რაიონში აშენდა 5 საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური. ამჟამად კიდევ 5 ახალი ჰიდროელექტროსადგური შენდება.

წელს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის გადადებულია ერთი მილიონი მანეთი.

# უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

### გერმანია

**ბერლინი,** 12 აპრილი. (საკდესი). საერთო დიდი სათაურით „საბჭოთა კავშირი კვლავ მოითხოვს ოთხმხრივ მოლაპარაკებას“ სალამის გაზეთმა „ნახტ-ექსპრესმა“ დღეს პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სრული ტექსტი საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 9 აპრილის ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი.

რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით სხვა გაზეთები არ გამოსულა.

**ბერლინი,** 12 აპრილი. (საკდესი). ტექსტი საბჭოთა მთავრობის 9 აპრილის ნოტისა, რომელიც გერმანიის საკითხზე გაეგზავნა დასავლეთის სამ სახელმწიფოს, გუშინ საღამოს არაერთხელ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბერლინის დემოკრატიულის სექტორის ყველა რადიოსადგურმა. საბჭოთა მთავრობის ახალ ნოტას, რომელიც შეიცავს წინადადებას ოთხი სახელმწიფოს მიერ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის საკითხის გადაუდებელი განხილვის შესახებ, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ გერმანელი ხალხის უაღრესად ფართო ფენები.

როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ დოკმანმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტა დასავლეთის სახელმწიფოებისადმი გერმანიის საკითხზე შეესაბამება მთელი გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. სახალხო პალატის თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ გერმანიის გათიშვისათვის, რაც გრძელდება, ევროპაში ახალი ომის საფრთხისათვის, რაც ამ გათიშვასთან არის დაკავშირებული, და რომ მათზეა ახლა დამოკიდებული გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადების საკითხის გადაჭრა, მაშასადამე, მშვიდობის უზრუნველყოფა ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

როგორც ადნ-ის საგენტოს ცნობებიდან ჩანს, განცხადებებს საბჭოთა მთავრობის ახალი ნოტისათვის მზარდაჩერის შესახებ აკეთებენ დიდი საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციები, გერმანიის მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენების მრავალი წარმომადგენელი.

### პოლონეთი

**ვარშავა,** 12 აპრილი. (საკდესი). დღეს პოლონეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ტექსტი საბჭოთა მთავრობის ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ, აგრეთვე კომენტარები ამ ნოტის შესახებ.

მოწინავე სტატიაში „ევროპაში მშვიდობისათვის“ გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს: სსრ კავშირის მთავრობის წინადადებანი გაერთიანებულ, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ და ამ ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა შეაფასა როგორც ახალი სერიოზული წვლილი ევროპაში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ამხანაგ სტალინის განცხადება იმის შესახებ, რომ მას ანლანდელი მოშენტი შესაფერისად მიაჩნია გერმანიის გაერთიანებისათვის, წერს გაზეთი, მოწმობს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირი გერმანიის საკითხს, და იმავე დროს პასუხია იმ კითხვაზე, რომელიც აღელვებს ევროპის ყველა ხალხს.

მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ამ პირობებში, განაგრძობს „ტრიბუნა ლიუდუ“, ახალ საბჭოთა ნოტას, რომელიც ერთხელ კიდევ აზუსტებს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ შეტანილ წინადადებებს, აკარწყლებს დასავლეთ სახელმწიფოთა პასუხში წამოყენებულ „არგუმენტებს“ და ამხილებს იმას, რომ ისინი ცდილობენ არ დაუშვან ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევა.

აღნიშნავს რა საბჭოთა მთავრობის ნოტაში წამოყენებულ ნათელ და ზუსტ დებულებებს; რომლებიც პოტსდამის შეთანხმების მტკიცედ დაცვას ემყარება, გაზეთი უპირისპირებს ამას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა პოზიციას, რომლებიც ვითომდა საზავო ხელშეკრულების დადებით ცდილობენ წინასწარ უზრუნველყონ თავისთვის პარტნიორი სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ კოალიციაში.

საბჭოთა ნოტა, რომელიც ამხილებს დასავლეთ სახელმწიფოთა არგუმენტაციის უნიადაგობას და მოითხოვს განხილულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად საკითხი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, კვლავ ადასტურებს, რომ სსრ კავშირის მთავრობის ღონისძიებათა მიზანია მშვიდობის განმტკიცება.

საბჭოთა დიპლომატიის ამ ახალ ნაბიჯს, წერს დასასრულ „ტრიბუნა ლიუდუ“, უდიდესი მადლობით მიესალმებიან გერმანელი და პოლონელი ხალხები და დასავლეთ ევროპის ყველა ხალხი.

### უნგრეთი

**ბუდაპეშტი,** 12 აპრილი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთი აქვეყნებს ამერიკის მთავრობის 25 მარტის ნოტას სსრ კავშირის მთავრობისადმი და სსრ კავშირის მთავრობის 9 აპრილის საპასუხო ნოტას ამერიკის მთავრობისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე.

„საბად ნეპი“ ათავსებს ამ დოკუმენტებს სათაურით: „საბჭოთა მთავრობა დასავლეთის სახელმწიფოებისადმი საპასუხო ნოტაში კვლავ წინადადებას იძლევა, რომ ოთხი დიდი სახელმწიფო დაუყოვნებლივ შეუდგეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხის განხილვას, აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის განხილვას“. „ნეპსაი“ ათავსებს მასალას სათაურით: „საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ ოთხმა დიდმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ განიხილოს საკითხი სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის შესახებ“.

### რუმინეთი

**ბუქარესტი,** 12 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის ახალმა ნოტამ დასავლეთის სახელმწიფოებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ რუმინელი ხალხის ფართო გამოხმაურება და მხურვალე მოწონება გამოიწვია. ნოტის ტექსტი დღეს ბუქარესტის ყველა გაზეთმა მოათავსა დიდი სათაურებით. ცენტრალური გაზეთების მეტი ნაწილი კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის ნოტას. გაზეთი „სკინტეია“ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა ნოტას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რუმინელი ხალხისა და მთელი ევროპის ხალხებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან თავიდან აიცილონ ომის საფრთხე, დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობა ევროპაში.

### ბულგარეთი

**სოფია,** 12 აპრილი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის მთელმა პრესამ გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

### საფრანგეთი

**პარიზი,** 11 აპრილი. (საკდესი). პარიზის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა მთავრობის ა. წ. 9 აპრილის ნოტას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე.

საღამოს, როცა ფრანს პრესის სააგენტომ მოსკოვიდან გადასცა საბჭოთა ნოტის სრული ტექსტი, ყველა გაზეთმა თავის ფურცლებზე მოათავსა მისი მოკლე შინაარსი.

ყველაზე სრული შინაარსი გამოაქვეყნეს გაზეთებმა „სე სუარმა“ და „მონდმა“. გაზეთმა „სე სუარმა“ პირველ გვერდზე დაბეჭდა დიდი სათაური: „სსრ კავშირი უცხადებს სამს: სასწრაფოდ გადავჭრათ გერმანიის პრობლემა. ახალ საბჭოთა ნოტაში გათვალისწინებულია:

1. ოთხმხრივი კომისია თავისუფალი არჩევნების განხორციელების პირობების გამოსაკვლევად მთელ გერმანიაში.

2. გერმანიას ეყოლება თავდაცვის არმია, მაგრამ არ უნდა შეავიდეს არავითარ კოალიციაში.

3. პოტსდამში დადგენილი საზღვარი ოდერ-ნეისზე საბოლოოა“.

„მონდის“ აზრით, საბჭოთა მთავრობის ნოტას უწინარეს ყოვლისა გარკვეულობა შეაქვს გერმანიაში თავისუფალი არჩევნების მოწყობის საკითხში.

### ინგლისი

**ლონდონი,** 12 აპრილი. (საკდესი). „დეილი უორკერი“ და „ტაიმსი“ აქვეყნებენ საბჭოთა მთავრობის 9 აპრილის ნოტის სრულ ტექსტს, დანარჩენ გაზეთები ან ბეჭდავენ ნოტის ტექსტის შინაარსს, ან სჯერდებიან მოკლე ცნობებს.

„დეილი უორკერს“ მოჰყავს ნოტის ტექსტი სათაურით „საბჭოთა პასუხი დასავლეთისადმი“: „დაწყებულ იქნას მოლაპარაკება გერმანიის შესახებ“.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ ბეჭდავს თავისი დიპლომატიური მიმომხილველის ცნობას, რომელშიც მოყვანილია საბჭოთა ნოტის შინაარსი. ცნობა მოთავსებულია სათაურით: „დასავლეთს განზრახული აქვს განიხილოს საბჭოთა წინადადება გერმანიის შესახებ. კომისია არჩევნების საკითხზე“.

სათაურით „დაუყოვნებლივი მოლაპარაკება რუსეთის ნოტის შესახებ“ „ნიუს ქრონიკლს“ მოჰყავს ცნობა, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული საბჭოთა მთავრობის ნოტის დებულებანი, და ათავსებს აგრეთვე თავისი დიპლომატიური მიმომხილველის კომენტარებს.

„დეილი ჰერალდი“ საბჭოთა ნოტის შინაარსს ბეჭდავს სათაურით: „საბჭოთა ნოტა მოითხოვს შეხვედრას“. იუერი ოთხი სახელმწიფოს კომისიის შექმნის შესახებ წინადადების გამო წერს: „წინადადება, რომელსაც თან ახლავს განმეორებული განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოები მზად არიან მოაწყონ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები გერმანიის გაერთიანებისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯის სახით, უეჭველია, მეტად ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი“.

კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა მთავრობას 9 აპრილის ნოტას დასავლეთის სახელმწიფოებისადმი, „დეილი უორკერი“ სარედაქციო სტატიაში, რომლის სათაურია „მშვიდობისაკენ გახსნილი გზა“, წერს: „საბჭოთა ნოტა გერმანიის საკითხზე გვიჩვენებს ომის საფრთხისაგან ხსნის გზას, გზას ევროპელ მეზობელთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობისაკენ“.

### ამერიკის შეერთებული შტატები

**ვაშინგტონი,** 11 აპრილი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი განაცხადა ოფიციალური კომენტარი გაუკეთოს ახალ საბჭოთა ნოტას გერმანიის შესახებ, სანამ არ შეისწავლის მას და არ მოეთათბირება ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ „ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა ნოტა უაღრესად გულცივად მიიღეს“.

# ლეონარდო და ვინჩი — აღორძინების ეპოქის დიდი მეცნიერი

მთელი თანამედროვე პროგრესული კაცობრიობა მხურვალედ გამოეხმაურა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას დიდი იტალიელი მეცნიერისა და მხატვრის ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

იტალიელმა ხალხმა მსოფლიო ისტორიასა და კულტურას მისცა დანტე და ლეონარდო და ვინჩი, გალილეი და ჯორდანო ბრუნო, გარიბალდი, საკო და ვანცეტი. თავისი ამ გამოჩენილი შვილების ხსოვნას წმიდად ინახავს იტალიელი ხალხი და მისი ავანგარდი—იტალიის კომუნისტური პარტია. 1950 წელს გაზეთ „უნიტაში“ ჯორდანო ბრუნოს ხსოვნისადმი მიძღვნილ სტატიაში, სათაურით „ბრუნო და ჩვენ“ ტოლიატი წერდა: ჩვენ პატივსა ვცემთ ბრუნოს ხსოვნას, რადგანაც „იგი ჩვენი ერთ-ერთი წინამორბედი იყო“.

ბრუნოს გვერდით უდიდესი პატივისცემით სარგებლობს იტალიის უდიდესი მხატვარი, ბრუნოსავით მწარე ბედის მქონე, იტალიის ქალაქ ვინჩში, „უკანონოდ“ დაბადებული და სამშობლოს გარეთ — საფრანგეთში დავიწყებასა და მარტოობაში გარდაცვლილი ლეონარდო და ვინჩი.

ლეონარდო და ვინჩის მეცნიერული გენია მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი აღმობრწყინდა შუა საუკუნეების სქოლასტიკის ბნელეთში. „საშუალო საუკუნეები,—წერდა ენგელსი, — სრულიად პირველყოფილი მდგომარეობიდან განვითარდა, ძველი ცივილიზაცია, ძველი ფილოსოფია, პოლიტიკა, და იურისპრუდენცია საკუთრებით მოისრნა, რათა ყოველივე ხელახლა დაწყებულიყო“. უკვე XIV საუკუნიდან ჩასახვას იწყებს ბურჟუაზია და წარმოების კაპიტალისტური წესი. ახლადჩასახულ ბურჟუაზიას, რომელიც მაშინ ფეოდალურ კლასთან შედარებით პროგრესული იყო, თავისი საკუთარი ინტერესებისათვის სჭირდებოდა, რომ ერთგვარი მეცნიერება გაეწია მეცნიერების განვითარებისათვის და გამოეყენებინა მისი მიღწევები.

სწორედ ახალი კლასის წარმოქმნისა და წარმოების ახალი წესის ამ ბაზაზე დაიწყო კულტურისა და მეცნიერების ის აღმავლობა, რომელიც ისტორიაში ცნობილია რენესანსის ანუ აღორძინების ეპოქის სახელით.

„რენესანსი იყო, — წერს ენგელსი,—უდიდესი პროგრესული გადატრიალება, როგორიც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია. ეს ისეთი დრო იყო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა, ბუმბერაზები აზრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით“. ასეთ ბუმბერაზთა რიცხვს ეკუთვნის სწორედ ამ ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მედროშე—ლეონარდო და ვინჩი.

როდესაც ენგელსი რენესანსის ეპოქის ბუმბერაზთა ამ პლეადის დახასიათებას იწყებს, იგი პირველ რიგში ჩერდება ლეონარდო და ვინჩიზე. „ლეონარდო და ვინჩი,—წერს ენგელსი, — მარტო დიდი მხატვარი როდი იყო, იგი ამასთან ერთად დიდი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერიც იყო, რომლის წყალობით ფიზიკას სხვადასხვა ნაწილში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს მოპოვებული“. მართლაც, ლეონარდო და ვინჩი მსოფლიო კულტურაში განსაკუთრებული მოვლენაა. არისტოტელეს შემდეგ მეცნიერების ისტორიაში კვლავ აიზიდა ისეთი ფიგურა, რომლის უნივერსალური გენია მისწვდა მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველ დარგს. ეს დარგებია: მხატვრობა, ქანდაკება, ანატომია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიოლოგია, კოსმოლოგია, გეოლოგია, გეოგრაფია, მინერალოგია, აეროდინამიკა, ჰიდროდინამიკა, ფიზიკა, მექანიკა და სხვა მრავალი.

მეცნიერების ყველა ეს დარგი ლეონარდო და ვინჩიმ მნიშვნელოვანი აღმოჩენებით გაამდიდრა და მრავალმნიშვნელოვან გამოგონებათა ნახაზებიც დაგვიტოვა. სამწუხაროდ, ლეონარდოს ამ ნახაზებიდან დიდი ნაწილი მისი დროის ტექნიკური ბაზის ჩამორჩენილობის და შემდეგ თაობებში კი თვით ამ ნახაზების სირთულით გამოწვეული გაუგებრობის გამო, პრაქტიკულად ვერ იქნა განხორციელებული. ამით აიხსნება, რომ XIX საუკუნის საფეიქრო ტექნიკაში გამოიგონეს ზოგიერთი ისეთი მანქანა და მისი დეტალი, რომლის ნახაზებიც, როგორც ეს შემდეგ აღმოჩნდა, ლეონარდოს გამზადებული ჰქონდა XV საუკუნეში.

შედარებით დაუზიანებლად არის ჩვენამდე მოღწეული ლეონარდოს ფუნჯის ზოგიერთი გენიალური ქმნილება. მის მიერ შექმნილი სურათები, მიუხედავად დროთა დინების გამო საღებავების ერთგვარი გაცრეცისა, დღესაც უდიდეს ზემოქმედებას ახდენენ მნახველზე და ქმნიან მასში ილუზიას, რომ ისინი ცოცხლობენ და სუნთქავენ, იტანჯებიან და ხარობენ, ტირიან და იცინიან.

ლეონარდო, როგორც მრავალმხრივი ნიჭისა და ინტუიციის მქონე მეცნიერი, საგანს იღებდა მის მრავალფეროვნებასა და ურთიერთობაში. ამიტომ იგი ერთდროულად კარგი მხატვარიც იყო და კარგი მეცნიერიც. სრულიად სწორი იყო სეიალი, როცა ლეონარდოზე წერდა, რომ მასში „შეუძლებელია უჩვენოთ, თუ სად იწყება მეცნიერი და სად თავდება მხატვარი“ და რომ „ლეონარდო—მხატვარი ისევე ცხოვრობს მეცნიერში, როგორც მეცნიერი მხატვარში“, რადგანაც იგი „ქვეყანას უყურებს, როგორც მხატვარი და იკვლევს როგორც მეცნიერი“. სწორედ გონების სიფართოვემ და საგნის მრავალმხრივობაში ალების უნარმა შეუწყო ხელი ლეონარდოს შეექმნა თავისი უკვდავი „ჯოკონდა“, ან მილანის ერთ-ერთ მონასტერში დახატული იუდა ისკარიოტელის გამცემლობის სცენა.

ლეონარდო—მხატვარი და ლეონარდო—მეცნიერი ერთმანეთს ავსებდნენ და ერთმანეთის ამაღლებას უწყობდნენ ხელს. „ის, ვინც ყველაზე მეტი რაოდენობით ფლობს განსხვავებულ თვისებებს, სწორედ იგი წარმოადგენს ყველაზე სრულყოფილ ქმნილებას“, — წერდა ლეონარდო და ვინჩი. ეს სიტყვები უწინარეს ყოვლისა თვითონ მასვე ეხებოდა.

საინტერესოა ლეონარდოს ზოგიერთი ფრაგმენტული ჩანაწერი ასტრონომიაზე. „შენ,—წერს ლეონარდო თავის თავზე, — აჩვენებ შენს თხზულებაში, რომ დედამიწა ისეთივე პლანეტაა, როგორც მთვარე და რომ ის (დედამიწა) მის ზედაპირზე მყოფი ზღვების მიერ მზის სხივთა ანარეკლის წყალობით, სხვა პლანეტაზე მცხოვრებთ ისეთსავე მანათობლად მოეჩვენებათ, როგორც მთვარე“.

ასტრონომიის საკითხებთან ერთად ჩანაწერებში არის ლეონარდოს შეხედულებანი გეოლოგიაზეც. „მთის ქანები,—ამბობს იგი, — სხვა არაფერია, თუ არა თანამიმდევრობით შლამის დანალექი ფენები, რომელნიც ერთიმეორეზეა დაწყობილი მდინარეთა დინებით... ის, რაც ოდესღაც ზღვის ფსკერი იყო, მთების მწვერვალი გახდა... მთები იქმნებიან და ინგრევიან მდინარეთა მოქმედების შედეგადო“.

ლეონარდომ განსაკუთრებით ღრმად შეისწავლა ანატომია და მრავალი საინტერესო აღმოჩენაც მოახდინა ამ დარგში.

ლეონარდო დიდი ენერგიითა და მონდომებით ეწეოდა კვლევა-ძიებას აეროდინამიკის საკითხებში. იგი ოცდაათი წელიწადი სწავლობდა ფრინველთა ფრთებს და მათი ფრენის წესებსა და კანონებს. მან საფრენი აპარატის გულმოდგინედ შედგენილი ნახაზებიც დაგვიტოვა და სრულიად შესაძლებლად მიაჩნდა, რომ მომავალში ადამიანი ფრინველებს წაართმევდა ამ უპირატესობას. ლეონარდოს ეს ოცნება და ვარაუდი განხორციელდა.

წინააღმდეგ სქოლასტიკის დოგმებისა, ლეონარდოს მეცნიერული კვლევა-ძიების ამოსავალ პირობად მიაჩნია თვითონ ბუნების შესწავლა, მის მოვლენებზე უშუალო დაკვირვება და ცდა. „მთელი ფილოსოფია,—წერდა იგი,—დაწერილია იმ გრანდიოზულ წიგნში, რომელიც მუდმივად გახსნილი დევს ჩვენს წინაშე, — მე ვლაპარაკობ ბუნებაზე; მაგრამ იმისათვის, რომ გავიგოთ ის, საჭიროა წინასწარ შევისწავლოთ მისი ენა და საწერი ნიშნები. იგი დაწერილია მათემატიკის ენაზე და მისი ეს საწერი ნიშნებია — სამკუთხედი, წრეხაზი და სხვა გეომეტრიული ფიგურები, რომელთა გაუცნობლად არ შეიძლება არც ერთი სიტყვის გაგება; უამისოდ კი შეიძლება მხოლოდ უაზროდ ვიხეტიალოთ ლაბირინტშიო“.

ლეონარდოს გაგებით ბუნების შესწავლა იმიტომ ხერხდება, რომ თვით ეს „ბუნება არ არღვევს თავის კანონებს“. ბუნების ამ შესწავლისა და ცოდნისათვის კი ცდას, მისი აზრით, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც „ცოდნა ცდის შვილიაო“. „ცდა, — ამბობს ის,—არასოდეს არ ცდება, არამედ ცდება ჩვენი გონება, რომელიც ამ ცდისაგან ისეთი შედეგების მოცემ

## საერთაშორისო ეკონომიკურ თათბირზე

### საბოლოო სხდომა

12 აპრილს საღამოს გაიმართა საერთაშორისო ეკონომიური თათბირის საბოლოო პლენარული სხდომა.

სხდომა გახსნა **ნან ხან-ჩენმა** (ჩინეთი).

პროფესორმა **დობრეტსბერგერმა** (ავსტრია) პრეზიდიუმის სახელით თათბირის განსახილველად წარადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისადმი მიმართვის პროექტი, რომელიც შეიცავს წინადადებას მოწვეულ იქნას უახლოეს დროში მთავრობების წარმომადგენელთა თათბირი ყველა ქვეყნის საქმიანი წრეების, აგრეთვე პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას.

პროფესორმა **მატინ-დაფტარიმ** (ირანი) პრეზიდიუმის დავალებით გამოაქვეყნა წინადადება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის შექმნის შესახებ. დასაბუთა რა ეს წინადადება, მატინ-დაფტარიმ განაცხადა: საერთაშორისო ეკონომიური თათბირი უდაოდ ბედნიერი ინიციატივა იყო, რადგან ამ თათბირმა სხვადასხვა ეკონომიური სისტემის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მის მონაწილეებს საშუალება მისცა გამოეთქვათ თავიანთი თვალსაზრისი. თათბირზე ინფორმაციის გაცვლამ დახატა ახლანდელი ფრიად სამწუხარო ეკონომიური მდგომარეობის ცოცხალი სურათი. ამასთან, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ჩვენ აქ გავიგეთ, თუ რა შესაძლებლობანი მოეპოვება სხვადასხვა ქვეყანას ვაჭრობის დარგში და შევისწავლეთ იმ სიძნელეთა დაძლევის საშუალებანი, რომლებიც ხალხებს აწუხებს. მაშასადამე, ეს თათბირი კარგი დასაწყისი იყო და ამიტომ პრეზიდიუმმა გადაწყვიტა შემოიტანოს წინადადება გაგრძელდეს ეს სასარგებლო საქმე, რისთვისაც წარმოადგინა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის შექმნის პროექტი.

საერთაშორისო ეკონომიური თათბირის გენერალურმა მდივანმა **რ. შამბეირონმა** პლენარული სხდომის დასამტკიცებლად წარადგინა პროექტი კომუნიკესი თათბირის საერთო შედეგების შესახებ. შამბეირონმა აღნიშნა, რომ თათბირის მონაწილეებს შეუძლიათ მიულოცონ თავის თავს, რომ თათბირში მონაწილეობა მიიღეს ესოდენ ზევრი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა, კოოპერაციისა და პროფკავშირების მოღვაწეებმა.

ჩვენ შეგვიძლია ბედნიერად ჩავთვალოთ თავი, განაცხადა მან, რომ ამ თათბირმა ცხადყო ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი და მტკიცედ გამოავლინა ის ფაქტი, რომ ეკონომიური და საზოგადოებრივი სისტემების განსხვავება არ წარმოადგენს დაბრკოლებას ქვეყნებს შორის საჭირო ურთიერთობის განახლებისა და განვითარებისათვის. ეს ურთიერთობა უნდა განმტკიცდეს. ჩვენ კომუნიკეში ხაზგასმით აღვნიშნეთ ამ თათბირის ყველა მონაწილის საერთო სურვილი მოწვეულ იქნას მეორე საერთაშორისო ეკონომიური თათბირი.

პლენარულმა სხდომამ მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისადმი, გადაწყვეტილება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის შექმნის შესახებ და კომუნიკე მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიური თათბირის შესახებ. თავმჯდომარის განცხადებას ამ დოკუმენტების ერთსულოვნად მიღების შესახებ თათბირის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

შესვენების შემდეგ სხდომა გაგრძელდა **ლალჩანდ ჰირაჩანდის** (ინდოეთი) თავმჯდომარეობით. თათბირის მონაწილეებმა აირჩიეს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტი.

ლორდმა **ბოიდ-ორმა** (ინგლისი) თავის სიტყვაში მადლობა უძღვნა საინიციატივო კომიტეტს და საბჭოთა მოსამზადებელ კომიტეტს იმისთვის, რაც მათ გააკეთეს თათბირის წარმატების მისაღწევად. ჩვენ, თქვა მან, შექმნილი გვქონდა ყოველგვარი საჭირო პირობა. ამ თათბირზე, ხაზგასმით აღნიშნა ბოიდ-ორმა, ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ. ინგლისის დელეგაციის აზრით, ჩვენ დავდეთ ფრიად მნიშვნელოვანი გარიგებები, რომლებსაც მოაყვება საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება. ეს გარიგებანი, დასძინა ორატორმა, ჩემს ქვეყანაში ხელს შეუწყობენ ცხოვრების დონის ამაღლებას ან, ყოველ შემთხვევაში, ხელს შეუშლიან მის დაქვეითებას. ორატორი საერთაშორისო ეკონომიურ თათბირს ახასიათებს, როგორც ისტორიულ მოვლენას.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის საგაჭრო პალატის თავმჯდომარე **ნესტეროვი**. „მონაწილეთა რაოდენობა, მათი კომპეტენტურობა და აქტივობა თათბირის მუშაობაში, მათი ინტერესი ყველა გამოსვლისადმი, — ამბობს იგი,— ყოველივე ეს გამოხატავდა მათ სურვილს გამოენახათ საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოების პრაქტიკული გზები.

აქ, ამ დარბაზში, გამოთქმული სხვადასხვა აზრი უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ეკონომიური თანამშრომლობის დარგში ბევრი რამ დამაკავშირებელი შეიძლება გამოინახოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, სხვადასხვა სახელმწიფოს შორის, მიუხედავად სხვადასხვა ეკონომიური და პოლიტიკური სისტემებისა“.

ნესტეროვმა თათბირის მონაწილეებს წარმატებით მუშაობა უსურვა იმ მიმართულებით, რომელიც თათბირზე დაისახა.

— ჩვენ ყველანი მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის მთავრობას, — განაცხადა **ო. ლანგემ** (პოლონეთი), — რომელმაც შესაძლებელი გახადა ამ კრების მოწვევა თავისი ქვეყნის დედაქალაქში.

ლანგე მადლობას უძღვნის საბჭოთა მოსამზადებელ კომიტეტს, საბჭოთა დედაქალაქის ხელმძღვანელებსა და. მის მეცხოვრებლებს, „ვის გულითად დამოკიდებულებას ჩვენ ყველგან და ყოველთვის ვგრძნობდით“.

ჩვენი თათბირის ნამდვილი მნიშვნელობა,— აღნიშნავს ორატორი, — ის არის, რომ მან დასახა მომავლის პერსპექტივები. მან ცხადყო ხალხთა შორის საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი. თათბირმა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა ამ თანამშრომლობისათვის ხელშეწყობის მიზნით. დაარსა რა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტი, თათბირმა ამით შექმნა მექანიზმი თავისი მუშაობის განგრძობისათვის.

შემდეგ თავმჯდომარემ ლალჩანდ ჰირაჩანდმა ხაზგასმით აღნიშნა რა თათბირზე დოკუმენტების ერთსულოვნად მიღება, საერთაშორისო ეკონომიური თათბირი დახურულად გამოაცხადა. (საკდესი).

## ვენას ჩავიდა დემოკრატ-იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისია

**ვენა,** 12 აპრილი. (საკდესი). ვენას ჩამოვიდნენ დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიის წევრები: პროფესორი ბრანდვაინერი (ავსტრია), მოერფსი (ბელგია), კავალიერი (იტალია), გასტერი (დიდი ბრიტანეთი) და ვასილკოვსკაია (პოლონეთი).

ისინი ამერიკელ ინტერვენტთა მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის დანაშაულებრივი ხმარების შესახებ მოხსენებას წარუდგენენ დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს სესიას, რომელიც მომავალ კვირაში გაიმართება ვენაში.

## დიდი გაფიცვა იაპონიაში

**ტოკიო,** 12 აპრილი. (საკდესი). „ძირგამომთხრელი საქმიანობის თავიდან აცილების“ შესახებ იოსიდას მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ტოკიოში გაფიცვა დაიწყეს 4 დიდი პროფკავშირის მუშებმა. 5 საწარმოში მიტინგები გაიმართა.

კანაგავას პრეფექტურაში გაფიცვაში მონაწილეობს 15 პროფკავშირი. პროფკავშირთა ცნობებით, გაფიცვაში მონაწილეობს დაახლოებით 350 ათასი მუშა.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ჯარების მთავარსარდლის ცარიელი ადგილი ევროპაში და ამერიკელ-ინგლისელ მოკავშირეთა „თანამშრომლობა“.

ნახატი ი. ჭოქიაშვილისა

## კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 11 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით კვლავ ეწეოდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ. ცალკეულ უბნებზე ხდებოდა შეტაკებანი მოწინააღმდეგესთან.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი.

**ფხენიანი,** 13 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

## კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების გამო

**ჟენევა.** 12 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის დღევანდელი სხდომა მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. მოპირდაპირე მხარე განაგრძობდა დუმილს. თათბირზე არ ყოფილა მიღწეული არავითარი პროგრესი.

## სინხუას საგენეგმო ამერიკელი იმპერიალისტების მიერ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შესახებ

**ჟენევა,** 14 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ანდონიდან იუწყება:

მთელი მსოფლიოს პროტესტების მიუხედავად, ამერიკელებმა კვლავ ჩამოყარეს ბაქტერიოლოგიური ბომბები ჩინეთში — დიაოდუნის პროვინციის ჩანბაის მაზრაში.

26 მარტს საღამოს 9 საათსა და 35 წუთზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი, რომელმაც ისარგებლა სიბნელით, შეიჭრა ჩანბაის მაზრაში. ამ მაზრის სოფელ ძიაცაიშუის გლეხებმა გაიგონეს რამდენიმე აფეთქების ხმა.

მეორე დღეს დილით ადგილი გამოიკვლიეს. გლეხის ლი მინ-ჩენის სახლის დასავლეთით დაახლოებით 180 მეტრზე იპოვნეს გამსკდარი ბაქტერიოლოგიური ბომბი. ბომბის გარშემო მოფანტული იყო ფურცლები, რომლებზეც იყვნენ ბუზები, რწყილები და ხოკოები.

გლეხები განაგრძობდნენ ძებნას და 31 მარტს გორაკის ძირში მდინარე ბადაოს სამხრეთით, სოფელ დავიძიდან დაახლოებით 250 მეტრზე იპოვნეს კიდევ ერთი ბაქტერიოლოგიური ბომბის ნამსხვრევები.

1 აპრილს გლეხმა ცინ სი-შანმა გუშანცუნტუნის მიდამოებში გორაკზე იპოვნა მესამე ბაქტერიოლოგიური ბომბი. იგი დამსხვრეული იყო 8 ნაწილად.

ყველა ამ ბაქტერიოლოგიური ბომბის ზომა სწორედ ისეთივეა, როგორც ამერიკის თვითმფრინავების მიერ კორეაში ჩამოყრილი ბომბებისა.

## პრაღის ქარხანა „ჩკდ-სტალინგრადის“ მუშების წარმატება

**პრაღა,** 11 აპრილი. (საკდესი). გუშინ პრაღის მანქანათმშენებელ ქარხანა „ჩკდ-სტალინგრადში“ გაიმართა დიდი საწარმოო დღესასწაული. ამ დღეს ფოლადსადნობ საამქროში ამუშავდა ახალი ელექტროღუმელი, რომელიც ყველაზე სრულყოფილია რესპუბლიკაში. ღუმელს მომსახურებას გაუწევს ახალგაზრდა მეფოლადეთა საუკეთესო ბრიგადა. ღუმელს ეწოდა „ახალგაზრდობის ღუმელი“. ახალი ელექტროღუმელი აიგო ვადაზე 9 თვით ადრე.

## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენცია

**ვენა,** 12 აპრილი. (საკდესი). დღეს ვენაში გაიხსნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს 60 ქვეყნის დელეგაციები. ჩამოვიდა 500-ზე მეტი დელეგატი — მშობლები, პედაგოგები, ფსიქოლოგები, ექიმები, მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, სახელმწიფო და პროფკავშირული მოღვაწეები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა ავსტრიის ბავშვთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარემ, ფსიქიატრმა ექიმმა ლეოპოლდინე კურც-ბაიტლმა. ავსტრიელ მშრომელთა სახელით იგი მხურვალედ მიესალმა მთელი მსოფლიოს წარმოგზავნილებს და მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ვენა აირჩიეს კონფერენციის მუშაობის ადგილად. ჩვენი კონფერენცია, თქვა კურც-ბაიტლმა, უდიდეს როლს შეასრულებს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, ომისა და შიმშილის საფრთხისაგან ბავშვთა დაცვაში.

კონფერენციის დღის წესრიგშია შემდეგი მოხსენებანი:

1. რა შეიძლება გაკეთდეს ბავშვებისათვის მშვიდობიან პირობებში.
2. ბავშვთა ჯანმრთელობის შესახებ.
3. ბავშვთა აღზრდის შესახებ.
4. ლიტერატურის, პრესის, რადიოს, კინოს და ხელოვნების გავლენა ბავშვთა მორალურ და კულტურულ განვითარებაზე.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობს ლეოპოლდინე კურც-ბაიტლი (ავსტრია). იგი სიტყვას მოხსენებისათვის „რა შეიძლება გაკეთდეს ბავშვებისათვის მშვიდობიან პირობებში“ აძლევს პროფესორს ოსტავ მონოს (საფრანგეთი).

მონომ აღნიშნა, რომ ამ კონფერენციის ყველა მონაწილეს, მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა, რელიგიური და პოლიტიკური რწმენისა, ერთიანებს სიყვარული ბავშვებისადმი, შეშფოთება და ზრუნვა მათი ბედისათვის.

მონომ ილაპარაკა დასავლეთში ფართოდ გავრცელებულ მალთუსის „თეორიაზე“, რომლის მიზანია თითქოს დედამიწაზე შიმშილისა და სიღატაკის ლიკვიდაცია, და აღნიშნა, რომ ეს „თეორია“ უწინარეს ყოვლისა მოწოდებულია გაამართლოს საომარი მზადება კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ამჟამად, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, შიმშილობს 1.100 მილიონი კაცი, ე. ი. დედამიწის მთელი მოსახლეობის ნახევარი.

ეს შიმშილი და სიღატაკე გამოწვეულია არა „ჭარბი მოსახლეობით“, როგორც მალთუსის მიმდევარნი ამტკიცებენ, არამედ უწინარეს ყოვლისა უგუნური ეკონომიური რეჟიმით, რომელიც ზოგიერთის გამოკვების საზარბით სხვებს აშავებს.

ადამიანის მეცნიერული და ტექნიკური საქმიანობა კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმართულია არა ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ, არამედ სატანკო ქარხნების მშენებლობისა და ატომური ბომბების დამზადებისაკენ.

ნაცვლად იმისა, რომ იბრძოლონ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები კოლოსალურ სახსრებს ხარჯავენ ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობთა გასამრავლებლად ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებისათვის.

შემდეგ მონომ დაწვრილებით ილაპარაკა დედამიწის სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვთა მდგომარეობაზე კონფერენციის სახელზე, თქვა მან, სხვადასხვა ქვეყნიდან გამოგზავნილია ბავშვთა დაცვის ადგილობრივი კომიტეტების ანგარიშები ბავშვთა მდგომარეობის შესახებ.

ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც სოციალიზმის ქვეყანაში ცხოვრებაზე მოგვითხრობენ, სრულ უფლებას იძლევიან ვამტკიცოთ, რომ ბავშვთა მდგომარეობა სსრ კავშირში განუწყვეტლივ უმჯობესდება.

1951 წელს საბჭოთა კავშირმა მოსახლეობისადმი ერთდროული დახმარებისა და სესხისთვის დახარჯა 125 მილიარდი მანეთი, სსრ კავშირში უკვე ომის შემდეგ აღდგენილია 82 ათასი სკოლა, რომლებშიც 15 მილიონი ბავშვი სწავლობს 100 სხვადასხვა ენაზე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალურ, კულტურულ და სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა და აღდგენა შეტანილი ხუთწლიან გეგმებში, რომლებიც წარმატებით სრულდება.

ყველა ეს ქვეყანა, ხაზგასმით აღნიშნა მომხმ, მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, მათი ხალხები თანმიმდევრულად იბრძვიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

სულ სხვაა, აღნიშნავს შემდეგ მომხსენებელი, ბავშვების მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. განსაკუთრებით ძნიშ მდგომარეობაშია არიან ბავშვები კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ჯანმრთელობის დაცვის სრული უქონლობა და სისტემატური შიმშილობა — ასეთია შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ბავშვთა ხვედრი. ირანში სასკოლო ასაკის ბავშვთა მხოლოდ 5 პროცენტი დადის სკოლაში, 90 პროცენტი დაავადებულია ტრაქომით.

აუტანელი საბინაო პირობებია კაპიტალისტურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. აფრიკაში არის ეგრეთწოდებული „გამოქვაბული ქალაქები“, რომლებიც წარმოადგენენ მყარალ უბნებს, სადაც კლდეების ნაპრალებში, ქვედლების ნანგრევებს თავს აფარებენ მთელი ოჯახები.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა როდია დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, განაგრძო მონომ. შეიარაღების პოლიტიკა დამლუპველ გავლენას ახდენს ბავშვების მდგომარეობაზე.

სამხედრო ხარჯების ეკონომიური და სოციალური შედეგები მძიმე გავლენას ახდენენ ამ ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრებაზე. სოციალური დაზღვევისა და სოციალური საჭიროებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტები სამხედრო ბიუჯეტების ზრდისადმი უკუპროპორციულია. სახსრები, რომლებიც უნდა ხმარდებოდეს საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საავადმყოფოების აღდგენას, ომის მომზადებისათვის იხარჯება. საომარი მზადება იწვევს ინფლაციას, რომელიც რისხვაა დასავლეთის უკანკალნივ ყველა ქვეყნისათვის. ინფლაცია არის ყველა საქონლის და უწინარეს ყოვლისა კვების პროდუქტების ფასების ზრდა ხელფასის გაუდიდებლად. მაგალითად, 1950 წლის იანვარიდან 1951 წლის დეკემბრამდე ფასები გაიზარდა საფრანგეთში 30 პროცენტით, ბელგიაში — 28 პროცენტით, ნორვეგიაში — 22 პროცენტით და სხვ.

კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა უმრავლესობა მოკლებულია საჭირო კვების პროდუქტებს, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, სამედიცინო დახმარებას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა ბევრ ბავშვს შესაძლებლობა არა აქვს იაროს სკოლაში. იტალიაში საკლასო შენობების ნაკლებობის შედეგად 2 მილიონი ბავშვი არ სწავლობს. საფრანგეთში ომის დროს დანგრეული 41 ლიცეუმიდან აღდგენილია მხოლოდ 4.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს მცირეწლოვან დამნაშავეთა დიდ რაოდენობას და მოზარდების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რაოდენობის მუდმივი ზრდის ტენდენციას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

გუსტავ მონომ ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული განგსტერული ფილმებისა და ბულვარული ლიტერატურის დამლუპველი გავლენა მოზარდებსა და ბავშვებზე.

დასასრულ მონომ შეიტანა წინადადება, რათა კონფერენციამ 1 ივნისი ოფიციალურად გამოაცხადოს ბავშვთა საერთაშორისო დღედ.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, თქვა მონომ, იმისათვის, რომ ბავშვთა სიცოცხლე დავიცვათ ომისა და შიმშილის საფრთხისაგან. ჩვენი ვალია უზრუნველვყოთ ბავშვებისათვის ბედნიერი მომავალი.

ამით დაიხურა კონფერენციის დილის სხდომა.

## სტუდენტთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე

**ლონდონი,** 13 აპრილი. (საკდესი). 12 აპრილს ლივერპულში გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მორიგი ტური. ტურნირის საბჭოთა მონაწილეებმა კვლავ მოიპოვეს გამარჯვება. ბრონშტეინმა მოუგო რუტანენს (ფინეთი), ხოლო ტაიმანოვმა დაამარცხა ფინეთის ჩემპიონი სტუდენტთა შორის ნირენი, ინგლისელ სტუდენტთა ჩემპიონმა მარდლმა მოუგო კათრაგატას (ინდოეთი), პასტხოვ (ფინეთი) — კრარუბ-დინსენს (დანია) პარტია ყაიმით დამთავრდა.

საღამოს გათამაშებულ იქნა გამოტოვებული პარტია საბჭოთა მოჭადრაკეებს ბრონშტეინსა და ტაიმანოვს შორის. მწვავე ბრძოლის შემდეგ პარტია 47-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

## ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავის ეროვნული ... (illegible)

დღეს, 12 აპრილს, საქართველოს ... (illegible) თბილისის სახელმწიფო ... (illegible) შედგება დიდი იტალიელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომას შესავალი სიტყვით გახსნის სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე.

მოხსენებას — „ლეონარდო და ვინჩის ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი შ. ამირანაშვილი.

სხდომის შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი თბილისის თეატრებისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

დარბაზის ფოიეში მოეწყობა ლეონარდო და ვინჩის ნაწარმოებთა რეპროდუქციების გამოფენა.

## ფეხბურთი

გუშინ, ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა ამხანაგური შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

პირველი ტაიმის განმავლობაში ინიციატივა თბილისელთა ხელში იყო, მაგრამ ბურთის გატანა ვერ მოახერხეს. შესვენების შემდეგ თბილისელთა უპირატესობა უფრო შესამჩნევი გახდა, მაგრამ კვლავ ამაოდ. თამაშის დამთავრებას 15 წუთი რომ აკლდა ლენინგრადელებმა სწრაფი იერიშები განავითარეს და ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში.

შეჯიბრება დამთავრდა ლენინგრადის „ზენიტის“ გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

## ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 15 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. მაისურაძის საჯარო ლექციას თემაზე: **„სოციალისტური სიხსნლის საკუთრების დატაცება-განიავებისათვის სიხსნლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.**

## ქუთაისელის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**15 აპრილს, საღამოს 8 საათზე,** შედგება დოცენტ ვ. ბახტაძის ლექცია თემაზე: „კ. მარქსის „კაპიტალი“ (რუსულ ენაზე „კაპიტალის I ტომის გამოცემის 80 წლისთავი)“.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

**პირველი გვერდი** — თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენცია.

**მეორე გვერდი** — ზ. მერკვილაძე — სახელმწიფო სახსრებს არ უფრთხილდებიან. ი. გალდავაძე — ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონის წინ.

ამერიკაკავშირის რესპუბლიკებში. მკითხველთა წერილები.

ი. კოკლამაზაშვილი — მხატვრული თვითმოქმედების ახალი აღმავლობისათვის.

**მესამე გვერდი** — შ. ამირანაშვილი — დიდი მხატვარი და მეცნიერი (ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავის გამო).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

**მეოთხე გვერდი** — საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენცია. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

**რედაქტორის მოადგილე**
**ი. ნატროშვილი**

**საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა**

**(რადიოსადგურებით 1.500 და 52,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)**

**16 აპრილს**

06.25 — კაცის და მოკროსოვის სიმღერები. 07.30 — უვერტიურები. 09.20 — რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერები და საცეკვაოები. 11.10 — კამერული მუსიკის კონცერტი. 17.40 — კონცერტი ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის „თბილისის აგრობიოლოგიურ სადგურში“. 18.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.15 — რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 20.30 — ქალაქის ქსელით — კონცერტი ცომიკის შესრულებით. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი. 21.00 — ლექცია კადრების ეკონომიური თვითგანვითარების დასახმარებლად: „საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარება — საწარმოთა მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია“. 22.30 — ლიტერატურული გადაცემა — პოლევოის მოთხრობა — „დაგვიანებული ბარათი“. 22.50 — კონცერტი დვორჟაკის ნაწარმოებებიდან. 00.05 — საცეკვაოები ოპერებიდან.

**დღეს თეატრებში**

**ოპერისა და ბალეტის** — ევგენი ონეგინი (მე-4 ად.); **რუსთაველის სახელობის** — რვალი; **მარჯანიშვილის სახელობის** — წარმოდგენა არ შედგება; **გრიბოედოვის სახელობის** — ძია ვანო (36-37 ად.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მშვიდობის მტრედები (53-ე ად. 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — დუბროვსკი (7 ს.).

სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტრო

სოიუზპეჩატი

**დაიწყო ხელმოწერა გაზეთზე „გამარჯვება“**

**საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო და საქალაქო კომიტეტების და თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ორგანოზე.**

**ხელმოწერას მიიღებენ კავშირგაბმულობის კანტორები, განყოფილებები, ფოსტალიონები და სოიუზპეჩატის განყოფილებები. გაზეთი თვეში ღირს 5 მანეთი, 3 თვით 15 მანეთი, 6 თვით 30 მანეთი და ერთი წლით 60 მანეთი.**

**საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდელების სახლი** იუწყება, რომ მასთან არსებული ინდივიდუალური დაკვეთების ატელიე ა. წ. 20 აპრილიდან გადადის ახლად ჩამოყალიბებულ № 8 ატელიეში — პლეხანოვის პროსპ. № 76. ამ გადასვლის შეუსრულებელი დაკვეთები დასამთავრებლად გადაეცემა ახალ ატელიეს № 8. ყველა დამკვეთელი ვალდებულია 1952 წლის 25 აპრილამდე გამოცხადდეს მოდელების სახლში დაუმთავრებელი დაკვეთების ხელახალი აღრიცხვისა და დამთავრებულის გამოსყიდვის მიზნით.

შესრულებული დაკვეთები, რომლებსაც ზემოაღნიშნული ვადისათვის დამკვეთლები არ გამოისყიდიან, რეალიზებული იქნება და შემდეგში არავითარი პრეტენზია არ იქნება მიღებული.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად: ლაბორატორიის გამგე—1. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი—2.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ დოკუმენტების ასლები, სამეცნიერო ნაშრომების სია, სამეცნიერო ნაშრომები, საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან.

კონკურსის ვადა — 15 დღე კონკურსის გამოცხადების დღიდან.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, კამოს ქ. № 34-36.

მეუღლე საშა, შვილები ელენე, თინა, შოთა, სიძე ბენო ჩიხლაძე, შვილიშვილი ლალი იუწყებიან **მინადორა ლაზარეს ასულ აბულაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-IV, 8 ს., გამოსვენება 17-IV, 5½ ს., ტყვიავის, 11.

მეუღლე ოლია, შვილები კაკო, კარლო, რძალი ქეთო შვილებით, და ლიდა, სიძეები ი. რევიშვილი, ბ. ვერულეიშვილი, ძმისწული ეორა ოჯახებით იუწყებიან **სევერიანე ათანასეს-ძე გეგიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IV ხიბლარში (სამტრედიის რ.).

ქალთა მე-6 საშუალო სკოლის მე-9¹ კლასის მოსწავლეები იუწყებიან **ნადია ჩიგაძის** გარდაცვალებას.

მშობლები მაგდა, ნესტორ, მეუღლე თამარ არჩვაძე, შვილი ჯემალ, ძმა ალექსანტი ოჯახით, ცოლისდა მარგო მეუღლით ილათი იუწყებიან **თედორე ნესტორის-ძე ჯანგიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 15-IV, 5 ს. სულხანიშვილის, 2.

ვლადიმერ, ბორის, დიმიტრი კო